ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 3 (10089)

ოთხშაბათი, 5 იანვარი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საღდეისო თემაზე. — საუკეთესოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — შ. უარყარაშვილი. — პარტიული ინფორმაცია ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა (მე-2 გვერდი).
საქართველოს კპ თბილისის კომიტეტში. — საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევნი სასტიკად დაისაჯნენ (მე-2 გვერდი).
ა. ლაბარტყავა. — დავნერგოთ საკოლმეურნეო სამშენებლო სამუშაოებზე მოწინავე მეთოდები (მე-2 გვერდი).
უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხზე ამერიკელი ჟურნალისტისადმი (მე-3 [illegible] გვერდ).
სარედაქციო მუშაობის პრაქტიკიდან. ი. კოპალიანი. — რაიონული გაზეთის რედაქციის [illegible] (მე-3 გვერდი).
რ. კანდელაკი. — უკეთ მოვაწყოთ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სწავლება (მე-3 გვერდი).
მ. ხეთაგური. — კოლმეურნეობა წლიური ანგარიშის წინ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდ).

გაფართოებულ ფორმით კინომომსახურება სოფლად

კინო ხელოვნების ყველაზე მასობრივი სახეობაა. კინოთეატრებში, კულტურის სახლებში, კლუბებში მრავალი ათასი მაყურებელი ნახულობს ფილმებს. კინო ჩვენში დამსახურებულად სარგებლობს ხალხის სიყვარულით, იგი მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ მშრომელთა მუდმივად მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, დიდ ყურადღებას აქცევენ კინოხელოვნების განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობა იქმნება იმისათვის, რომ თვითეულ საბჭოთა ადამიანს, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი — ქალაქში, მუშათა დაბაში თუ სოფლად, — შეეძლოს რეგულარულად ნახოს კინოსურათები. ამ მიზანს ემსახურება კინოფიკაციისა და „კინოპროკატის“ მძლავრი სისტემა.

განუზომლად იზრდება სოფლის მოსახლეობის კულტურა, დღითიდღე უმჯობესდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. კინო მტკიცედ შევიდა მშრომელთა ფართო მასების კულტურასა და ყოფაში. საქართველოს სოფლებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კლუბებში მუშაობს ასობით სტაციონარული და მოძრავი კინოდანადგარი.

ჩვენს რესპუბლიკაში არის რაიონები, სადაც კინოსურათებს სისტემატურად უჩვენებენ სოფლებში. წლითიწლობით იზრდება კინომაყურებელთა რიცხვი გურჯაანის რაიონში. აქ დაწესებულია და ზუსტად სრულდება საკოლმეურნეო მოძრავი დანადგარების მარშრუტთა გრაფიკი. კინოსეანსების მოწყობაში მონაწილეობას იღებენ სოფლის აქტივისტები. ამ რაიონში სახელი გაითქვა მოძრავი დანადგარის კინომექანიკოსმა ამხ. ა. ზვერიაშვილმა. იგი ყოველთვიურად 30-ზე მეტ სეანსს აწყობს რაიონის კოლმეურნეობებში, დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

კინო ჩვენი სოფლების კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი ძალაა. კარგი მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული ან დოკუმენტალური ფილმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშრომელთა იდეური აღზრდისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. მაგრამ კომუნისტური აღზრდის ამ მძლავრ საშუალებას ყველა რაიონში მაქსიმალურად როდი იყენებენ. კინომომსახურების საქმეში, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ზოგიერთ სოფელში კინო-ფილმებს იშვიათად უჩვენებენ. ასპინძის რაიონის მთელ რიგ სოფლებში მშრომელები თვეობით მოკლებული არიან კინომომსახურებას. აქ სუსტად იყენებენ მოძრავ კინოს. პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ იმისათვის, რომ სოფლის მოსახლეობამ რეგულარულად ნახოს კინოფილმები. ასეთივე მდგომარეობაა ლანჩხუთის, თერჯოლის, ვანის, ხობის და სხვა რაიონებში.

წულუკიძის რაიონის ბევრ სოფელში კოლმეურნეები დიდი ხანია ვერ ნახულობენ კინოფილმებს. მაგალითად, პოფელ გელავერში 1954 წელს არც ერთი კინოსეანსი არ მოწყობილა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები თვალყურს არ ადევნებენ იმ კინოსურათების შერჩევას, რომლებიც სოფლებში იგზავნება, კონტროლს არ უწევენ კინოდანადგარების მოძრაობის მარშრუტებს. კეთილმოწყობის მხრივ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სასოფლო კლუბები. განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული მეცნიერულ-პოპულარული, აგროტექნიკური და დოკუმენტალური ფილმების ჩვენება.

მთელ რიგ რაიონებში კინოფილმების ჩვენებისადმი კაზიონურ დამოკიდებულებას იჩენენ. ხშირად შემთხვევითი ადამიანები წყვეტენ სოფლად კინოფიკაციის ბედს, განსაზღვრავენ რა ფილმები უჩვენონ. რა თქმა უნდა, კინომექანიკოსთა შორის გვხვდებიან ნამდვილი ენთუზიასტები. მაგრამ არიან ისეთი მექანიკოსებიც, რომლებიც საქმეს გულგრილად ეკიდებიან, ავტორიტეტით არ სარგებლობენ სოფლის მაყურებლებში. საჭიროა ყოველდღიურად წარვმართოთ და კონტროლი გავუწიოთ კინომექანიკოსების მუშაობას, დავეხმაროთ მათ, აღვზარდოთ ისინი თავიანთი მოვალეობის და მაყურებლის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნების სულისკვეთებით.

კინოსურათების ჩვენებასთან დაკავშირებული საკითხები მუდამ უნდა იდგეს სოფლის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეების ყურადღების ცენტრში. კინოსეანსების მოწყობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ყოველ „წვრილმანს“. აუცილებელია ვიზრუნოთ იმისათვის, რომ სოფლად თავის დროზე იგზავნებოდეს კინოსურათები.

სოფლის მაყურებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველოსა და „კინოპროკატის“ რესპუბლიკური კანტორის მიმართ იმის გამო, რომ ფილმების ჩვენების პროგრამა შეზღუდული და ღარიბია, ხშირად მეორდება ერთი და იგივე ფილმები. სოფლის მშრომელთა ეს საყვედური უეჭველად მხედველობაშია მისაღები.

ჩვენს საბჭოთა ფილმებს დიდი იდეური შინაარსი აქვს. ისინი დამაჯერებელი და მართალი არიან, მაღალია მათი მხატვრული დონე. მაგრამ თუ ფილმის ჩვენება მოუწყობელ შენობაში ხდება, თუ ეკრანი და აპარატი ცუდია, ყოველი ფილმი მაყურებლის თვალში კარგავს იდეურ-მხატვრულ ღირსებას. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ფილმის ჩვენების კულტურისათვის, შენობის კეთილმოწყობისათვის.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა მუდმივი კონტროლი გაუწიონ რაიონული და საკოლმეურნეო კლუბების, მოძრავი კინოდანადგარების მუშაობას, ყოველმხრივ დაეხმარონ მათ, მიაღწიონ იმას, რომ ფილმები რაც შეიძლება მეტმა მაყურებელმა ნახოს. კინომომსახურების გაუმჯობესების საქმეში უნდა ჩავაბათ სოფლის მთელი კულტურული ძალები — მასწავლებლები, კლუბებისა და სამკითხველოების გამგეები, სოფლის აქტივისტები, კომკავშირელები. აუცილებელია კიდევ უფრო გავაძლიეროთ სოფლის მშრომელთა კინომომსახურება საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში.

დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების პროპაგანდას, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეევიტანთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საქმეში.

კინოქსელისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერება, სოფლის მშრომელთა კინომომსახურების შემდგომი გაუმჯობესება კოლმეურნე გლეხობის მუდმივად მზარდ კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი პირობაა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. პ. ი. კულიაბკოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. პ. ი. კულიაბკოს დაბადების ოთხმოცი წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. პრასკოვია ივანეს ასული **კულიაბკო** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 31 დეკემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. კ. მაროჩკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. მ. კ. მაროჩკინის დაბადების სამოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და რევოლუციურ მოძრაობაში მისი აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად, ამხ. მიხეილ კონსტანტინეს-ძე **მაროჩკინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოთა საქართველოს დღე



თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში შრომის ნაყოფიერების გადიდებით თავი ისახელა ამწყობმა ზეინკალმა ი. მაჩაბელმა, რომელიც 1955 წლიდან პროდუქციას 1960 წლის ანგარიშში იძლევა. **სურათზე:** ი. მაჩაბელი თავის სამუშაო ადგილზე.

თბილისი. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველმა სოფიო ქარჩაიძემ სახელი გაითქვა მალალნაყოფიერი შრომით. იგი ყოველდღიურ დავალებებს სისტემატურად 120-125 პროცენტით ანადღებს. **სურათზე:** ს. ქარჩაიძე თავის საქსოვ დაზგასთან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მზადება არჩევნებისათვის

ახალი საწარმოო აღმავლობის ნიშნით

ცოცხლად, საინტერესოდ მართავენ საუბრებს ხაშურის საელმავლო დეპოში აგიტატორები მ. გურჯიშვილი, ვ. ელისაშვილი, გ. მაჩხანელი და სხვები. ისინი ამომრჩევლებს ესაუბრებიან ჩვენი ქვეყნის წარმატებათა, არჩევნების დებულების, საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმის შესახებ.

საელმავლო დეპოს ბიბლიოთეკაში მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, რომლითაც მრავალი ამომრჩეველი სარგებლობს.

არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით გაძლიერდა ბრძოლა საწარმოო გეგმების პირნათლად შესრულებისათვის. ამ დღეებში გეგმის გადამეტებით აწევითი შეკეთებიდან გამოშვებულ იქნა ერთი ელმავალი. დღითიდღე იზრდება შრომის ნაყოფიერება. შემოქმედებითი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ზეინკლები ს. პაპუაშვილი, თ. ლომაძე, კ. ქურდიძე, გ. ელისაშვილი, ხარატები ნ. გიგუაშვილი, გ. ჯალიაშვილი.

დეპოელებს გადაწყვეტილი აქვთ ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე — 27 თებერვალი.

გ. ნოზაძე,
ხაშურის საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი.

აგიტპუნქტები ყოფილ საარჩევნო უბნებთან

თბილისის ლენინის რაიონის საწარმო-დაწესებულებებსა და მოსახლეობაში 2.300-ზე მეტი აგიტატორი ეწევა მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით. საარჩევნო კამპანიის დღეებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაძლიერების მიზნით პარტიის ლენინის რაიკომმა ამას წინათ მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტატორების თათბირი.

მუშაობა გააჩაღეს აგიტპუნქტებმა, რომლებიც შექმნილია ყოფილ საარჩევნო უბნებთან. აგიტატორებმა ნ. დოლიძემ, ს. არუთინოვმა, ე. მამაცაშვილმა და სხვებმა ამომრჩევლებთან უკვე მოაწყეს პირველი საუბარი საბჭოთა კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების შესახებ.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ, ავტოსარემონტო, საორთქლმავლო დეპოში და სხვა საწარმოებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

მოწინავე საწარმოები

20 დეკემბრისათვის წლიური საწარმოო გეგმები შესრულებული ჰქონდათ საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს შემდეგ საწარმოებს:

წულუკიძისა და მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკებს, თბილისის მაუდკამოლის კომბინატს, თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა „კომკავშირელს“, თბილისის ბამბის ძაფსართავ ფაბრიკას, ფაბრიკა „საქტრიკოტაჟს“, თბილისის ტყავის მეორე ქარხანას, ბათუმის ტყავის ქარხანას ქუთაისისა და სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატებს, თბილისის ფეხსაცმლის მეორე და მესამე ფაბრიკებს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთაგან 1954 წლის გეგმები 1 დეკემბრისათვის შეასრულეს და დეკემბერში პროდუქცია წლიური გეგმის გადამეტებით მოგვაცეს:

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ, კალინინის სახელობის ქარხანამ, ლითონკონსტრუქციების ქარხანამ, თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანამ, ბათუმის მომთუთიებელმა ქარხანამ, საგალანტერიო საქონლის ფაბრიკამ, ქიმიურმა კომბინატმა, ფართო მოხმარების საქონლის ქარხანამ და საქალაქო და რაიონულმა სამრეწველო კომბინატებმა.



სამ დღეში 12.500 ტონა ტვირთი ნორმის გადამეტებით

თბილისის საელმავლო დეპოს მძიმეწონასანმა მეელმავლეებმა ახალი სამეურნეო წლის დასაწყისი მნიშვნელოვანი წარმატებებით აღნიშნეს. იანვრის პირველ სამ დღეში მათ ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 12.500 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები.

საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს მძიმეწონასანმა მეელმავლეებმა ბ. ხმალაძემ, ტ. მუმლაძემ და დ. ვაშაკიძემ, რომლებმაც თითო რეისით ნორმის გადამეტებით გადაზიდეს თვითეულმა 1.200 ტონა ტვირთი. მეელმავლეებმა ა. ჯიშკარიანმა და გ. ლიკლიკაძემ თითო რეისით ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 1.150 ტონა ტვირთი თვითეულმა.

საკონდიტრო ნაწარმის ასორტიმენტის გაფართოება

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც საერთო პროდუქციის გამოშვების 1954 წლის დავალება ერთი თვით ადრე შეასრულა, შესამჩნევად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, გააფართოვა ასორტიმენტი.

ახლახან საწარმოო მივლინებიდან დაბრუნდა ამ ფაბრიკაში მომუშავე კონდიტერთა ჯგუფი ფაბრიკის მთავარი ტექნოლოგის ნ. ხუციშვილის მეთაურობით. ჯგუფმა მოსკოვში დაათვალიერა საკონდიტრო მრეწველობის მოწინავე საწარმოები „კრასნი ოქტიაბრი“ და „ბოლშევიკი“, სადაც გაეცნენ ახალ ტექნოლოგიას, შრომის ორგანიზაციას და მოსკოველ კონდიტერთა მუშაობის გამოცდილებას. ამ გამოცდილებას ახლა ისინი ადგილობრივ ნერგავენ.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

უზრუნველვყოთ „მშთ“ ახალი კომპლექსის ნორმების მასობრივი ჩაბარება

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო დადგენილება პროფკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ შემოღებულია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ახალ კომპლექსს დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ფიზიკურად აღზრდისა და გაჯანსაღების, ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მუშათა და მოსამსახურეთა ფართოდ ჩაბმის საქმეში. „მშთ“ ახალი კომპლექსი შემოღებულ იქნება 1955 წლის 1 იანვრიდან.

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირების კომიტეტებსა და საბჭოებს, ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა და ფიზკულტურის კოლექტივთა საბჭოებს პოპულარიზაცია გაუწიონ „მშთ“ ახალ კომპლექსს პროფკავშირთა წევრებს შორის ლექციების, მოხსენებების, საუბრების მოწყობით, პლაკატებისა და სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემით და ამისათვის გამოიყენონ პრესა, რადიო, კინო, კლუბები, წითელი კუთხეები, სტადიონები.

საჭიროა დაწყოს საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და სასპორტო მსაჯულების მომზადება და გადამზადება ახალი კომპლექსით მუშაობისათვის და მოაწყონ კურსები და სემინარები. მიღებულ უნდა იქნას ნორმისმიებანი სასპორტო მოედნებისა და ბაზების მოსაწყობად და წესრიგზე მოსაყვანად. ფიზკულტურის ყველა კოლექტივში უნდა შეიქმნას „მშთ“ კომისიები და მათს შემადგენლობაში ჩაბმულ იქნას საუკეთესო ფიზკულტურული აქტივი.

(საკლესი).

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობა

მუშაობა დამთავრა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ. ყრილობაში მონაწილეობა მიიღო ოთხასამდე დელეგატმა, რომლებიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან, მხარიდან და ოლქიდან ჩამოვიდნენ. ყრილობას დაესწრნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წითელი ჯვრის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ყრილობის დელეგატები ოთხ დღეს განიხილავდნენ გ. ა. მიტერევის სანგარიშო მოხსენებას სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის მუშაობის შესახებ, სარევიზიო კომისიის მოხსენებას. დელეგატებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ქალაქად და სოფლად საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციის საქმიანობაზე. ყრილობამ ყურადღება მიაქცია სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის საერთაშორისო საქმიანობის საკითხებს.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა მ. დ. კოვრიგინამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განმტკიცდეს საზოგადოების წევრთა კავშირი ჯანმრთელობის დაცვის აღგილობრივ ორგანოებთან.

ყრილობაზე გამოვიდნენ საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

დელეგატებმა განიხილეს და მოიწონეს სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის წესდების ცვლილებანი და დამატებანი, აირჩიეს აღმასკომის ახალი შემადგენლობა.

დიდი აღფრთოვანებით მიღებულ იქნა მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ყრილობის საბოლოო სხდომის შემდეგ შეიკრიბა აღმასკომის პირველი პლენუმი, რომელმაც აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია პროფესორი გ. ა. მიტერევი. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მთავრობის ჯილდოები გადაეცათ ქალაქ თბილისის სკოლების მასწავლებლებსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშაკებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ.

უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი გადაეცა № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელს თ. რ. ალაშმაძეს, № 31 საშუალო სკოლის მასწავლებელს შ. ა. ახელიანს, № 3 საშუალო სკოლის მასწავლებელს გ. ზ. გაჩეჩილაძეს, № 23 საშუალო სკოლის მასწავლებელს ქ. კ. ჩიჩუას, № 17 საშუალო სკოლის დირექტორს ს. ნ. ზიბალეიშვილს და სხვებს. ლენინის ორდენი მიიღო სულ 64 კაცმა.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო 63 კაცმა. მათ შორის № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ე. აბესაძემ, № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. ს. გორგოშიძემ, № 48 საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. ლ. ორნატსკაიამ, № 21 საშუალო სკოლის მასწავლებელმა კ. ო. თევზაძემ და სხვებმა.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი გადასცა 56 კაცს. მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო 3 კაცმა, მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ — 1 კაცმა.

დაჯილდოებულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ, რომელმაც გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულებს და უსურვა შემდგომი წარმატებები მუშაობაში. (საკდესი).

დეპუტატები ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს

ამას წინათ ანაგის ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშით წარსდგა სიღნაღის რაისაბჭოს დეპუტატი ელენე მირიანაშვილი. ამხ. მირიანაშვილი პირნათლად ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას. დეპუტატის ინიციატივითა და მონდომებით სოფელში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. ანაგას არ ჰქონდა სკოლის შესაფერი ბინა, ამის გამო მეცადინეობა ხუთ სხვადასხვა ადგილას წარმოებდა, რაც მოქმედებდა სასწავლო პროცესზე. ამომრჩევლებმა დეპუტატს მიმართეს დახმარებისათვის. ე. მირიანაშვილმა ანაგაში ახალი სასკოლო შენობის აგების საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე დააყენა. ამ საკითხზე ანაგის სასოფლო საბჭოს სესიამაც იმსჯელა. დეპუტატს მხარი დაუჭიროს რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმაც. ახლა ანაგელებს საშუალო სკოლის შესანიშნავი შენობა აქვთ.

ამომრჩეველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდნენ სოფლის კლუბი და ბიბლიოთეკა. მათ არ ჰქონდათ საჭირო ლიტერატურა, შენობაც რემონტს მოითხოვდა. დეპუტატმა ეს საკითხი სასოფლო-საბჭოს აღმასკომის წინაშე დააყენა. ეს საკითხი სასოფლო საბჭოს სესიამაც განიხილა. გასულ წელს კლუბისა და ბიბლიოთეკის შენობას კაპიტალური რემონტი გაუკეთდა, რაზეც 33 ათასი მანეთი დაიხარჯა. ამასთან კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის შენობაში გაიხსნა ახალი, კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც 6 ათასზე მეტი მანეთის ლიტერატურა შეიძინეს.

ე. მირიანაშვილი ზრუნავს სოფლის კეთილმოწყობისათვის, ხშირად აყენებს სასოფლო საბჭოს აღმასკომის წინაშე კეთილმოწყობის კონკრეტულ საკითხებს, თვალყურს ადევნებს ამ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. მაგალითად, დეპუტატმა სასოფლო საბჭოს აღმასკომის წინაშე დააყენა სოფელში სასმელი წყლის გაყვანის საკითხი, რაც დადებითად გადაწყდა: 3.200 მეტრზე გაიყვანეს წყლის მილები, 23 ადგილას მოაწყეს ონკანები.

ე. მირიანაშვილი ანაგის სასოფლო ლექტორიუმსაც ხელმძღვანელობს. ლექტორიუმი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მოსახლეობაში. მარტო გასულ წელს 77 ლექცია მოეწყო. 17 ლექცია თვით ე. მირიანაშვილმა წაიკითხა. ე. მირიანაშვილს ხშირად ნახავთ ამომრჩევლებთან მოსაუბრეს სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. ამასთან მისი საუბრები ყოველთვის კონკრეტული და მიზანსწრაფულია, მტკიცედ არის დაკავშირებული სოფლის მშრომელთა წინაშე მდგომ ამოცანებთან.

ამომრჩევლებთან ამ ბოლო შეხვედრის დროს ე. მირიანაშვილმა მორიგი დავალება მიიღო: იზრუნოს სოფელში აბანოს აშენებისათვის.

სოფელ მაღაროს ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა: რაისაბჭოს დეპუტატმა გ. ბერიძემ. ამომრჩევლებმა სამართლიანად გააკრიტიკეს რაისაბჭოს დეპუტატი და სასოფლო საბჭო იმისათვის, რომ ისინი სუსტად ზრუნავენ სოფლის კეთილმოწყობაზე: საუბნო გზები მოუწყობელია, სოფელს არა აქვს წესიერი სასკოლო შენობა, არა მყავს ექიმი, ცეკავშირის წნორის ხე-ტყის საკვაპრო საწყობი და რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება სუსტად ზრუნავენ მოსახლეობის საშენი მასალებით მომარაგებისათვის; სოფელ ზემო მაღაროს, სადაც 300-ზე მეტი კოლმეურნის ოჯახი ცხოვრობს, არა აქვს საკვაპრო მაღაზია, სასმელი წყალი, ელექტროგანათება, რადიო. მოსახლეობა ჟურნალ-გაზეთებს ვერ იღებს. სასოფლო საბჭოს აღმასკომი და რაიონული საბჭოს დეპუტატი არ ზრუნავენ ამ საკითხთროტა საკითხების მოგვარებისათვის.

სოფელ ბოდბის ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშით გამოვიდა რაისაბჭოს დეპუტატი გ. კოკლამაზაშვილი. ამომრჩევლები მისი მუშაობის მადლიერი არიან. გ. კოკლამაზაშვილის ზრუნვის შედეგად ბოდბეში გაიყვანეს სასმელი წყალი, ელექტროშუქი, ზემო ბოდბეში აშენდა ახალი სავაჭრო მაღაზია. მასთან შეხვედრის დროს ამომრჩევლებმა ნაკლოვანებებზეც ილაპარაკეს.

საქმიანად ჩაიარა სხვა დეპუტატების ანგარიშებმაც. ამომრჩევლები დეპუტატებს ავალებენ ყოველთვის კეთილსინდისიერად შეასრულონ ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობა.

მ. ტუხაშვილი,
სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი.

სადღეისო თემაზე

საუკეთესოდ მოვემზადოთ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის

ახალი სამეურნეო წელი დაიწყო. ახლა, არჩევნებისათვის მზადების დღეებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების ვითარებაში მიმდინარეობს მზადება საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები დაუღალავად მუშაობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები შარშანდელზე უკეთესად ემზადებიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორებისა და მიწამბენი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებას. რესპუბლიკის მტს-ებს გასული წლის ტრაქტორების მეოთხე კვარტალის რემონტის გეგმა 119 პროცენტით აქვთ შესრულებული.

იქ, სადაც კარგად იყენებენ არსებულ შესაძლებლობას და რემონტის კვანძურ მეთოდს, წარმატებასაც აღწევენ. თელამის მტს-მა ტრაქტორების რემონტის 1954 წლის მეოთხე კვარტალის დავალება ვადაზე 20 დღით ადრე 122,2 პროცენტით გაანალდა. ასევე კარგად მუშაობენ ულიანოვკის, მარტყოფის, წითლის და სხვა მტს-ები.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ტემპი ყველგან ასეთი როდია. მაგალითად, ზნაურის მტს-ში ტრაქტორების რემონტის საქმეში თვითდამშვიდებას იჩენენ. გასული წლის მეოთხე კვარტალში უნდა შეეკეთებინათ 10 ტრაქტორი, მაგრამ ამ სამუშაოს შესასრულებლად რატომღაც თავი არ შეიწუხეს, შეაკეთეს მხოლოდ 7 ტრაქტორი. მსგავსი მდგომარეობაა წალკის მტს-ში. ამ მტს-ების ხელმძღვანელი მუშაკები მოვალენი არიან ქმედითი ზომები მიიღონ ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

საჭიროა ყურადღება მიექცეს საკოლმეურნეო ინვენტარის შეკეთებას. გუთნების, კულტივატორებისა და სათესების დროულად შეუკეთებლობა შეაფერხებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს. რემონტის დასაჩქარებლად აუცილებელია საკოლმეურნეო სამჭედლოების უზრუნველყოფა კადრებით, რკინეულით. ამ საკითხით უნდა დაინტერესდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

თესლი — მომავალი მოსავლის ოქროს ფონდია. მაგრამ ამას ყველგან როდი ითვალისწინებენ. ეს პირველ რიგში ოქმის ბოგდანოვკის რაიონზე. აქ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო სათესლე მასალის მომარაგება, გაწმენდა და კონდიციამდე აყვანა. რაიონში გეგმით საჭიროა 34.382 ცენტნერი ხორბლისა და ქერის თესლი, დღემდე კონდიციური თესლი აქვთ მხოლოდ 9.999 ცენტნერი. თესლის მომარაგების საქმეში ყველაფერი რიგზე არც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებშია. აქ კონდიციური თესლი აქვთ გეგმის მხოლოდ 28,1 პროცენტი. ასევე ითქმის თიანეთისა და ახალქალაქის რაიონების შესახებ.

მუშა-პირუტყვი მომზადებული უნდა შევაბვედროთ მინდვრის სამუშაოებს. საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ მუშა-პირუტყვის მოვლა.

ორგანულ სასუქს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ბევრგან ამ მხრივ შეუწყნარებელი მდგომარეობაა. მაგალითად, თელავის რაიონში მინდვრად 50 ათასი ტონა ნაკელი უნდა გაიტანონ, ფაქტიურად ეს დავალება დღემდე სანახევროდაც არ შეუსრულებიათ. ჩამორჩენაა მცხეთის, გურჯაანის, კაჩრეთის, ხობის, ჩოხატაურის რაიონებში.

მიმდინარე წლის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან მასების შემოქმედებითი აქტივობა გამოიყენონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

დავნერგოთ საკოლმეურნეო სამშენებლო სამუშაოებზე მოწინავე მეთოდები

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ფართო მასშტაბით წარმოებს სამშენებლო სამუშაოები. იზრდება კაპიტალური დაბანდებათა მოცულობა, აშენებენ პირუტყვის კეთილმოწყობილ, მექანიზებულ სადგომებს, საფრინველეებს, სასილოსე კოშკებსა და ნახევარკოშკებს, ბრეშუმის ჭიის გამოსაკვებ ფარდულებს, თამბაქოს საშრობებს და სხვა საწარმოო თუ სამეურნეო ნაგებობებს.

მშენებლობის ფართო მასშტაბები მოითხოვს დიდ სახსრებს, ბევრ საშენ მასალას და სამუშაო ძალას. საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩაბმული სპეციალისტთა ზრუნვის მთავარ საგანს უნდა წარმოადგენდეს მშენებლობის ისე წარმოება, რომ მას რაც შეიძლება ნაკლები მასალები და მუშახელი სჭირდებოდეს, სამუშაოები კი მინიმალურად მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად სრულდებოდეს.

ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკოლმეურნეო მშენებლობაში ფართოდ იქნება გამოყენებული ადგილობრივი და ახალი საშენი მასალები, აგრეთვე რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები და დეტალები.

რუსეთის სფსრ მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა საკმაოდ მდიდარი გამოცდილება შეიძინეს ადგილობრივი საშენი მასალებისაგან დამზადებული დეტალებისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების რაციონალურად გამოყენებაში. საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმაც გადმოიღონ და ფართოდ დანერგონ რუსეთის კოლმეურნეთა ეს მოწინავე და პრაქტიკულად შემოწმებული გამოცდილება.

ფართო პრომაგანდის ღირსია ვორონეჟის ოლქის პავლოვსკის რაიონის კოლმეურნე მშენებელთა წამოწყება. ისინი ხე-ტყისა და სახურავი მასალის დაზოგვის მიზნით ცხოველთა ბინებსა და საწარმოო ხასიათის ნაგებობებს აშენებენ აგურის თაღოვანი გადახურვით. ასეთი შენობა მნიშვნელოვნად უფრო მტკიცე, საექსპლოატაციოდ მოხერხებული და იაფი გამოდის, ვიდრე ხისსახურავიანი. მათ ასაშენებლად საჭირო არ არის ხე-ტყე, აგრეთვე სხვა სახურავი მასალა.

ნოვატორმა ინჟინერმა გ. პობედინსკიმ დაამუშავა სალორის პროექტი აგურის თაღისებრი გადახურვით, რაც წარმატებით იქნა გამოყენებული. პობედინსკის პროექტით ახლა აშენებულია 24 სხვადასხვა ნაგებობა, რომლებზეც აგურის თაღოვანი გადახურვის შედეგად კოლმეურნეობებმა 5 ათას კუბმეტრამდე სამასალე მერქანი დაზოგეს და 1,2 მილიონი მანეთი ეკონომია გასწიეს.

ინჟინერი პობედინსკი და პავლოვსკის რაიონის კოლმეურნე მშენებელთა ერთი ჯგუფი შარშან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი იყვნენ.

საყურადღებო წარმატებები აქვთ კურსკის ოლქის კოლმეურნეობებს მეცხოველეობის ნაგებობათა და სხვა საწარმოო შენობათა აგებისას აგურისაგან ორმაგი სიმრუდის თაღის გამოყენებაში. ცილინდრისებური თაღებთან შედარებით ორმაგი სიმრუდის აგურის თაღის უპირატესობა ის არის, რომ ვღებულობთ საშენი მასალის საგრძნობ ეკონომიას, ვინაიდან ორმაგი სიმრუდის თაღი მეოთხედი აგურის სისქით ეწყობა.

იაფი და ჩქაროსნული მშენებლობის საუკეთესო საშუალებაა საკოლმეურნეო ნაგებობათა მშენებლობა წიდაბეტონის მონოლითური თაღებით, რაც პირველად განახორციელეს კრასნოდარის მხარის პავლოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომსომოლეცში“. ეს კოლმეურნეობა ფუდამ განიცდიდა ხე-ტყის ნაკლებობას. მშენებლებმა გადაწყვიტეს დეფიციტური და ძვირი საშენი მასალა სხვა უფრო იაფი და ხელმისაწვდომი მასალით შეეცვალათ. სცადეს წიდაბეტონის გამოყენება და მისგან ააგეს მონოლითური თაღი. ასეთი წესით აეშენეს ბენზინის საწყობი, ორი საჯინიბო, თვითეული 40 ცხენისათვის, სახბორე 80 სულისათვის და საღორე 25 დედაღორისათვის. წიდაბეტონის გამოყენებით კოლმეურნეობაში მარტო ამ ნაგებობებზე დაზოგეს 500 კუბმეტრი ხე-ტყე, 1,5 ტონა ლურსმანი და 2 ათასი კვადრატული მეტრი სახურავი მასალა. გარდა ამისა, ახალი მასალის გამოყენებამ შეამცირა საშენი მასალების ტრანსპორტირება და მაღალკვალიფიციური მეშახელის საჭიროება... ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებზე კოლმეურნეობამ 200 ათასი მანეთის ეკონომია გასწია.

ვორონეჟის, კურსკის ოლქებისა და კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობების ეს გამოცდილება ფართოდ უნდა დანერგოს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ხე-ტყის მასალის ნაკლებობას განიცდიან.

მიზანშეწონილია განვავითაროთ ცემენტქვიშის კრამიტისა და წიდაცემენტის ტალღისებრი სახურავი ფილების წარმოება. ასეთი კრამიტის დასამზადებელი დაზგების გაკეთება თავისუფლად შეუძლიათ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს.

საკოლმეურნეო მშენებლობაში ახალ ეტაპს ხსნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შარშან მიღებული დადგენილება რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების შესახებ.

უხტომსკის რაიონის ვორომილოვის სახელობის კოლმეურნეობაში რკინაბეტონის ასაწყობ კონსტრუქციებით ააშენეს 14 სასილოსე ორმო; შენდება საძროხე 200 სულისათვის. რკინაბეტონის ელემენტები საძირკვლის, კედლებისა და გადახურვის მოსაწყობად მზადდება საქარხნო წესით, ცენტრალიზებულად.

სამწუხაროდ, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სუსტად ებრძვიან არა მარტო ახალი, ეფექტიანი დეტალებისა და კონსტრუქციების დასანერგავად, არამედ საკოლმეურნეო მშენებლობაში ადგილობრივი საშენი მასალების რესურსების გამოვლინებისა და გამოყენებისთვისაც. ამის შედეგად ჩვენში ცალკეული საშენებლო ობიექტების მშენებლობა მეტისმეტად ჭიანურდება.

საკოლმეურნეო მშენებლობაში წიდის ბაზაზე მსხვილი დეტალების, აგრეთვე რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების ფართოდ დანერგვაში დიდი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს კოლმეურნეობებისათვის აღნიშნული დეტალებისა და კონსტრუქციების წარმოება, აგრეთვე ხის ზოგიერთი სტანდარტული ელემენტის ფართო მასშტაბით დამზადება.

სოფლის მშენებლები უზრუნველყოფილი არიან „გიპროსელხოზის“ მიერ დამუშავებული ისეთი ტიპური პროექტებით, რომლებიც საერთოდ ეკონომიურ კონსტრუქციებს ითვალისწინებენ, მაგრამ არ ითვალისწინებენ ჩვენი რაიონებისა და კოლმეურნეობების ადგილობრივ პირობებს. რეკომენდებული ტიპური პროექტების უცვლელად გამოყენება ზოგჯერ არათუ არ ამცირებს, არამედ კიდევაც ზრდის მშენებლობის თვითღირებულებას. ამიტომ საჭიროა სახელმძღვანელოდ მოცემული ყველა ტიპური პროექტი ადგილობრივი პირობების შესაბამისად გადამუშავდეს. სამწუხაროდ, ჩვენი საპროექტო ორგანიზაციები ამ მხრივ არავითარ დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობებს.

საკოლმეურნეო მშენებლობის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების, რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების საპატრონო ამოცანაა საკოლმეურნეო ახალმშენებლობაში ყოველივე ახლის, მოწინავის გაბედულად დანერგვა. ეს დიდ სამსახურს გაუწევს იმ საერთო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომლებიც დასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში.

ა. ლაბარტყავა,
საქართველოს სსრ საქალაქო და სახოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლმეურნეობებში მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ინჟინერი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მეშახვეები მოითხოვენ გზის აღდგენას“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ გასული წლის 21 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის საცხოვრებელ უბნამდე გზა შეუკეთებელია. გასულ წელს ტყიბულშახტმშენმა დაიწყო გზის შეკეთება, მაგრამ იგი კვლავ გადათხრილია. როგორც საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსის მოადგილე ამხ. ი. ბასილაია გვატყობინებს, ტყიბულშახტმშენის მმართველს ამხ. ვ. ჩაჩიბაიას დაევალა მოკლე დროში დაამთავროს აღნიშნული გზის მშენებლობა.

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტში

საბჭოთა ვაჭრობის ნორმების დამრღვევნი სასჯელს ვერ ერიდებიან

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა დეკემბერში შეამოწმა დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები.

„ქ. თბილისის ზოგიერთ სავაჭრო ობიექტში საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტების შესახებ“ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანებში თბილისის ზოგიერთი საავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, აგრეთვე საავაჭრო საწარმოთა დირექტორებმა და გამგეებმა შეასუსტეს ბრძოლა საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ.

ქალაქის მთელ რიგ მაღაზიებში დადგენილ იქნა საბჭოთა ვაჭრობის უხეში დარღვევის ფაქტები. „საქფეხსაცმლის“ № 11 მაღაზიაში, სადაც დირექტორად ამხ. ს. გიაშვილია, დირექტორის საწერი მაგიდის უჯრებში და ბუხალტერიის კარადებში აღმოჩენილ იქნა ფული და გადამალული 69 წყვილი ფეხსაცმელი, რომელზეც განსაკუთრებით დიდია მოთხოვნილება.

თბილმრეწვავაჭრობის № 65 მაღაზიაში (დირექტორი ვ. ჩაჩუა) გამყიდველ ე. სარქისოვას გადამალული ჰქონდა ვისკოზური ტრიკოტაჟის ქალისა და მამაკაცის პერანგები და ბავშვის რამდენიმე წყვილი თბილი ხელთათმანი.

ორ კოლოფ კანფეტში მთავარგასტრონომის № 8 მაღაზიის (დირექტორი მ. ტიგრანიანი) გამყიდველმა მ. სიდამონიძემ მომხმარებელს გადაუხდევინა ზედმეტი 4 მანეთი და 24 კაპიკი.

მომხმარებელს ერთ კილოგრამ პურზე წონაში დააკლო 70 გრამი, ხურდაში — 20 კაპიკი პურვაჭრობის № 55 მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ბ. კუპავამ.

საკოლმეურნეო ბაზრების ხორცის საკონტროლო სადგურებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კოლმეურნეობათა პროდუქტების გამოძალვის სამარცხვინო შემთხვევები. სტალინის რაიონის დახურული საკოლმეურნეო ბაზრის ხორცის საკონტროლო სადგურის გამგე ვ. საძაგლიშვილი, რომელსაც ტახსაკლის კარადაში ღორის ხორცის ერთი კილოგრამი ნაპრები უნახეს, დანაშაულის დაფარვის მიზნით ცდილობდა გადაეყარა ისინი.

„ტექსტილტორგის“ პირველ მაღაზიაში ვინმე ნ. მანგაშვილმა, რომელიც ამ მაღაზიაში არ მუშაობს და რომელიც სცვლიდა გამყიდველს, მოატყუა მომხმარებელი. 3 კილოგრამის ნაცვლად 2.650 გრამი ბამბა აუწონა. დირექტორის მოადგილემ რ. ასათიანმა, ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებრივ კონტროლიორებს ნ. გატიკოვასა და ა. მაჭავარიანს დახმარებოდა დადგინათ წონაში მოტყუების ფაქტები, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მაჭავარიანს და ყოველნაირად ცდილობდა დაეფარა ვაჭრობის წესების ეს აშკარა დარღვევა. მაღაზიის დირექტორი ჯორჯაია კონტროლს არ უწევს თავისი ხელქვეითების მუშაობას, გამყიდველად უშვებს უცხო პირებს, გვერდს უვლის არსებულ დარღვევებს.

საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები დადგენილია აგრეთვე მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების თბილსაზკვების, საადლილოების ტრესტების, თბილკოოპვაჭრობის საავაჭრო ობიექტებში და საკოლმეურნეო ბაზრებში.

თბილისის კომიტეტის ბიუროს დადგენილებით:

საქფეხსაცმლის № 11 მაღაზიის დირექტორი ს. გიაშვილი მოიხსნა სამუშაოდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური საინფორმაციო ცნობათაში შეტანით.

მთავარგასტრონომის № 8 მაღაზიის დირექტორს მ. ტიგრანიანს, თბილმრეწვავაჭრობის № 65 მაღაზიის დირექტორს ვ. ჩაჩუას, სტალინის რაიონის დახურული ბაზრის ხორცის საკონტროლო სადგურის გამგე ვ. საძაგლიშვილს და „ტექსტილტორგის“ № 1 მაღაზიის დირექტორს პ. ჯორჯაიას გამოეცხადათ საყვედური საინფორმაციო ცნობათაში შეტანით. ხოლო იმავე მაღაზიის დირექტორის მოადგილე რ. ასათიანი მოიხსნა სამუშაოდან.

წინადადება მიეცა პურვაჭრობის დირექტორს ამხ. ლ. ჟორდანიას მომხმარებელთა მოტყუებისათვის სამუშაოდან მოხსნას № 55 მაღაზიის გამგე ბ. კუპავა.

ბიუროს გაეფრთხილა საავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომ მათს ობიექტებზე ვაჭრობის წესების დარღვევისათვის პირადად აგებენ პასუხს.

• • •

ამ დღეებში თბილისის კომიტეტის ბიუროს ავრეთვე განიხილა „მომზმარეველთა წონა-ზომაში, ანგარიშში მოტყუებისა და საქონლით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1954 წლის 12 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

თბილმრეწვავაჭრობის უნივერმაღში სამკერვალო ნაწარმის სექციის გამყიდველ მ. ბაბაევს დაბლქვეშ აღმოუჩინეს 34 ათასი მანეთი ნაღდი ფული. ქალაქ თბილისის მილიციის მუშაკებმა გ. ბიაშვილმა და მ. მეტრეველმა დანაშაულებრივი დამოკიდებულება გამოიჩინეს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობისა და თბილისის კომიტეტის დავალებისადმი, კაეშირი დაამყარეს უნივერმაღის დირექტორ თ. კიკნაძესთან და მის მოადგილე ნ. ბინთიბიძესთან, დამალეს აღნიშნული თანხის აღმოჩენის ფაქტი. თბილმრეწვავაჭრობის უნივერმაღში სისტემატურად იღღვევა საბჭოთა ვაჭრობის წესები.

„ტექსტილტორგის“ № 2 მაღაზიაში, სადაც დირექტორად არის ამხ. შ. შაფათავა, გამყიდველ მ. მამასახლისოვს, ბუხჰალტერ კ. მარშანიას და თვით შაფათავას გადამალული ჰქონდათ პირსახოცები, ფლანელი, და სხვა საქონელი

მარცხენა სანაპიროს თბილსაზკვების № 43 მაღაზიაში (გამგე გ. ლაშქარაძე) გამყიდველმა ს. სხირტლაძემ ორ 500-500 გრამიან ჭიქაზე მომზმარებელს 120 გრამი ლუდი დააკლო.

მარჯვენა სანაპიროს თბილსაზკვების № 23 მაღაზიაში, რომელსაც მ. ქუთარე ხელმძღვანელობს, თანამშრომელმა ა. მამისაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიაში არის სალაროგაყიდული საქონლისათვის მომხმარებლისაგან ხელზე მიიღო 28 მანეთი და 72 კაპიკი.

გასტრონომის № 9 მაღაზიაში (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ი. კუპრავა) გამყიდველმა ლ. კუპატაძემ ნახევარ კილოგრამ ბურღულზე მომხმარებელს წონაში 30 გრამი დააკლო.

საფეხსაცმლის № 10 მაღაზიაში, სადაც დირექტორად არის ამხ. ვ. ოდიშარია, გადანახული იყო ისეთი ფეხსაცმელი, რომელზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები სათანადო ბრძოლას არ ეწევიან საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა და სპეკულანტთა წინააღმდეგ, აჭიანურებენ გამოძიებას, არის საქმის უსაფუძვლოდ მოსპობის შემთხვევები.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს სასჯელი დაადო საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა:

თბილმრეწვავაჭრობის უნივერმაღის დირექტორი თ. კიკნაძე და მისი მოადგილე ნ. ბინთიბიძე მოხსნა სამუშაოდან. კიკნაძის პარტიულობის საკითხი განხილულ იქნება საგამომძიებლო ორგანოების დასკვნის შემდეგ;

ქალაქის მილიციის თანამშრომელი გ. ბიაშვილი გარიცხა პარტიიდან, ხოლო მ. მეტრეველის საკავშირო ალაკ რიგებში ყოფნის საკითხის განხილვა დაავალა კომკავშირის თბილისის კომიტეტს;

„ტექსტილტორგის“ № 2 მაღაზიის დირექტორს შ. შაფათავას და მარჯვენა სანაპიროს საზკვების № 23 მაღაზიის გამგეს მ. ქუთრიძეს გამოეცხადა საყვედური.

ბიუროს წინადადება მისცა მარცხენა სანაპიროს თბილსაზკვებვაჭრობის მმართველს ამხ. ი. გეტაშვილს თანამდებობიდან მოხსნას № 43 მაღაზიის გამგე გ. ლაშქარაძე და ნაკლებად პასუხსაგებ სამუშაოზე გამოიყენოს იგი.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ინფორმაცია ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა

რესპუბლიკის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე. ხოლო სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა რომ უზრუნველყონ, პარტიული ორგანოები კარგად უნდა იყვნენ გარკვეული იმაში, თუ რა ხდება ადგილებზე, როგორ ხორციელდება პარტიის პოლიტიკა უშუალოდ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, ტრანსპორტზე, მშენებლობებსა და დაწესებულებებში. პარტიული ორგანო რაც უფრო უკეთ იქნება გაცნობილი ადგილებზე პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების მდგომარეობას, მით უფრო კონკრეტულ ხელმძღვანელობას გაუწევს მათ, მით უფრო ნაკლებ შეცდომებს დაუშვებს მუშაობაში. ყოველივე ეს განსაზღვრავს პარტიული ინფორმაციის — როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების თვალსაჩინო იარაღის — როლსა და დანიშნულებას პარტიული მუშაობის საერთო სისტემაში. პარტიული ინფორმაცია პარტიულ ორგანოებს აძლევს მუშაობაში ორიენტირების საშუალებას, ხელს უწყობს ნაკლოვანებათა დროულად გამომჟღავნებას, ცალკეულ პარტორგანიზაციათა მუშაობის პრაქტიკის განზოგადებას, მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას და დადებითი გამოცდილების ფართოდ გავრცელებას.

პარტიული ინფორმაციის კარგად მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობა უფრო მოქნილი და ქმედითი რომ გახდეს, აუცილებელია პარტიული ინფორმაცია დროულად ეხმაურებოდეს ყველა ძირითად მოვლენას პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში.

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში წლების განმავლობაში არ სრულდებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმები, დაბალი იყო მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მოუგვარებელი იყო შრომა, ირღვეოდა შრომის დისციპლინა. 1954 სამეურნეო წელს სურათი მკვეთრად შეიცვალა. კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგა. თუ წინა წლებში აქ შრომადღეზე 1 კილოგრამ მარცვლეულს და ფულად 50 კაპიკს ანაწილებდნენ, შარშან 9 კილოგრამი მარცვლეული და ფულად 12 მანეთი გაანაწილეს.

როგორ მოხდა, რომ წლების მანძილზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა ასე მოკლე დროში ჩადგა მოწინავეთა რიგებში? ამას უწინარეს ყოვლისა შეუწყო ხელი კოლმეურნეობისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერებამ. პარტიის რაიონული კომიტეტი დაინტერესდა კოლმეურნეობის საქმიანობით, ყოველმხრივ სწავლობდა და ღრმა ანალიზს უკეთებდა კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას. რაიკომის მდივანმა აფენის მტს-ის ზონაში ამხ. ს. ლომიძემ და ზონის ინსტრუქტორებმა კოლმეურნეებთან მჭიდრო კავშირით, ცოცხალი საუბრებითა და აზრთა გაცვლა-გამოცვლით შეძლეს გამოერკვიათ კოლმეურნეობის ჩამორჩენის ნამდვილი. მიზეზები და დროულად განეხორციელებინათ ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტიის რაიკომში მოწყობილ ერთ-ერთ შეკრებაზე მტს-ის ხელმძღვანელებისა და აპარატის მუშაკების მსჯელობის საგანი გახდა ამხ. ს. ლომიძის ინფორმაცია ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. რაიკომის ბიუროს საჭიროდ მიიჩნია, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის შეცვლა, გადახალისებული იქნა ბრიგადებისა და ფერმების ხელმძღვანელი კადრები, მთავარი ყურადღება მიექცა კოლმეურნეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებას.

კარგად მოწყობილმა პარტიულმა ინფორმაციამ რაიკომის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა მუდამ კოლმეურნეობის საქმიანობის კურსში ყოფილიყო, დროზე გამოევლინებინა ნაკლოვანებანი და მათი გამოსწორებისათვის მიეღო გადამჭრელი ზომები. ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული ინფორმაციის კარგად დაყენებას სამეურნეო ორგანიზაციებისადმი სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის საქმეში. სამწუხაროდ, პარტიულ ინფორმაციას ჯერ კიდევ ყველგან როდი ექცევა ჯეროვანი ყურადღება. პრაქტიკა მოწმობს, რომ ნაკლოვანებებზე და შეცდომებზე დაგვიანებით ან არასწორი რეაგირების მიზეზი ხშირად პარტიული ინფორმაციის ცუდად დაყენებაა.

პარტიული ინფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებების, რაიონული და საქალაქო კომიტეტების ბიუროს სხდომების, პლენუმების, პარტიული კონფერენციებისა და აქტივის კრებების ოქმები. ზემდგომ პარტიულ ორგანოებში ინფორმაციის ამ წყაროს დროზე წარდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საშუალებას იძლევა დროულად გავერკვეთ, თუ რა საკითხებს განიხილავენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები ან პარტიული კომიტეტები, სწორად წყვეტენ და მოიცავენ თუ არა მომენტის ყველა ძირითად ამოცანას. ასეთი ინფორმაციის საფუძველზე ზემდგომი ორგანოები დროულად მიიღებენ სათანადო ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მაგრამ, მთელი რიგი საქალაქო და რაიონული კომიტეტები არ იცავენ ზემდგომ ორგანოებში ოქმების წარდგენის ვადებს, რაც საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით არის დაწესებული. ცენტრალურ კომიტეტში ოქმებს სისტემატურად ერთი თვისა და უფრო მეტი ხნის დაგვიანებით გზავნიან გალის, გუდაუთის, გულრიფშის რაიკომები. 15-20 დღის დაგვიანებით იგზავნება ახმეტის, გარდაბნის, საჩხერის, ყაზბეგის, მარნეულის, წულუკიძის, ლენინგორის რაიკომების ბიუროს სხდომების ოქმები. პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენს რაიკომის პლენუმისა და პარტიული აქტივის კრების ოქმების გაფორმებისა და მათი დროულად წარდგენის საქმეში.

პარტიული კონფერენციის, აგრეთვე რაიკომის პლენუმისა და პარტიული აქტივის კრების ოქმების გაფორმების პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევები, როცა ოქმში შეაქვთ კამათში მონაწილეთა მხოლოდ გვარები ან მათი გამოსვლების ძალზე შემოკლებული ჩანაწერები. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ოქმში აღმოჩნდება ხოლმე სეანსოზული შეცდომა, არასწორი ჩანაწერი, ან გამოტოვებულია ცალკეული ფურცლები. ამის გამო მოსალოდნელია, რომ ხელმძღვანელ ორგანომდე არ მიაღწიოს ცალკეული კომუნისტების მიერ წამოყენებულმა რომელიმე მნიშვნელოვანმა წინადადებამ.

ამ უკანასკნელ ხანებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა საჭირო ღონისძიებები განახორციელეს სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის მუშაობის გარდასაქმნელად, ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად, ზედმეტი მიმოწერის შესამცირებლად და ცოცხალი, ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. ამასთან დაკავშირებით საგრძნობლად შემცირდა მიმოწერა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი ხარისხი. მიუხედავად ამისა, ამ საქმეში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია. ზემდგომ ორგანოში წარდგენილი ზოგიერთი ანგარიში და მოხსენებითი ბარათი არ წარმოადგენს ფაქტიური მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტს.

ყველგან როდი ექცევა ჯეროვანი ყურადღება აგიტატორებისა და მომხსენებლებისათვის მიცემული შეკითხვების შესწავლას. ეს შეკითხვები კი ხშირად გამოხატავენ მასების, ადამიანთა ცალკეული ჯგუფების, მშრომელთა გარკვეული ფენების განწყობილებას, სიგნალს იძლევიან ამა თუ იმ ნაკლოვანებაზე ან საქმიან წინადადებას აყენებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამიტომ შეკითხვები, რომლებიც აგიტატორებს და მომხსენებლებს ეძლევა, პარტიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა და მათ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. პარტიული ინფორმაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა წერილებისა და საჩივრების რეგულარულად განხილვას და შესწავლას.

ინფორმაცია, რომელიც მხოლოდ ოქმების ან სხვა დოკუმენტების მონაცემებს ეყრდნობა, სრულყოფილი არ იქნება, თუ იგი განმტკიცებული არ იქნა მასებთან უშუალო, ცოცხალი კავშირით, ზეპირი ინფორმაციით.

თბილკვებვაჭრობის კიროვის რაიონის ქსელის პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მუშაობის სპეციფიური პირობები აქვს. მასში გაერთიანებული ცალკეულ მაღაზიებსა და სავაჭრო ფარდულებში მომუშავე კომუნისტები ერთმანეთთან უშუალო საქმიანობით არ არიან დაკავშირებული. აქ ხშირად იმართებოდ

სარედაქციო მუშაობის პრაქტიკიდან

რაიონული გაზეთის რედაქციის მუშაობის ორგანიზაცია

გაგრის რაიონულ გაზეთ „გამარჯვების დროშას“ ფორმატისა და პერიოდულობის გადიდების პირველ დღეებში ძალიან ცოტა კორესპონდენტი ჰყავდა. ამიტომ ჩვენი გაზეთის იმდროინდელ ნომრებს ძირითადად რედაქციის მუშაკების წერილებით ავავსებდით, მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ ასე „გაკეთებული“ გაზეთი ვერ შეასრულებდა მის წინაშე მდგომ ამოცანებს, რომ საჭირო იყო კორესპონდენტთა ქსელის რაც შეიძლება გაფართოება. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი გაზეთის რედაქციის მუშაკებმა გამოიყენეს ავტორთა აქტივის მოზიდვის თითქმის ყველა ფორმა. რედაქციის მუშაკები ახლა სამუშაო დროის მეტ ნაწილს რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ატარებენ. იქ ისინი დადიან არა მარტო საკუთარი კორესპონდენციებისა და წერილებისათვის საჭირო მასალების შესაგროვებლად, არამედ ეხმარებიან კოლმეურნეებს, ბრიგადირებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, პარტიულ და საბეურნეო მუშაკებს, რათა მათ უფრო აქტიურად ითანამშრომლონ გაზეთში. რაიონის ცენტრში მოწვეული ოთხეული თათბირის თუ შეკრების ავტორთა აქტივთან კავშირის განსამტკიცებლად ვიყენებთ. გაზეთის მკითხველები გვაძლევენ საქმიან შენიშვნებს გაზეთში გამოქვეყნებულ ამა თუ იმ წერილზე. შორეული სოფლებიდან თათბირებზე ჩამოსულ ამხანაგებს ვიწვევთ რედაქციაში, სადაც ისინი დიდი ინტერესით ეკიდებიან გაზეთის გამოშვების პროცესს, ეცნობიან გაზეთის სამუშაო გეგმას, იღებენ რედაქციის დავალებებს, რჩევა-დარიგებას, რაზე და როგორ წერონ გაზეთში. გასულ წელს რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში მოვაწყეთ სოფლის კორესპონდენტებისა და ძირეული პრესის მუშაკების თათბირები.

კორესპონდენტთა აქტივთან კავშირის განსამტკიცებლად შემოღებული გვაქვს აგრეთვე მათთან მიწერ-მოწერა. აქტიური კორესპონდენტები ხშირად წერილობით იღებენ ჩვენგან კონკრეტულ დავალებებს.

ჩვენი გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე გამოდის, რაც რედაქციის მუშაკებისაგან მოითხოვს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თვითეული ნომრის მომზადებას. რედაქციის მუშაკთა კოლექტიური აზრი წყვეტს, თუ რა ადგილი მივუჩინოთ ამა თუ იმ წერილს, რომელ ენაზე დაიწეროს ესა თუ ის მასალა.

გაზეთის ამ სპეციფიკას ითვალისწინებენ განყოფილებათა გამგეები, რომლებიც ყოველი თვის ბოლო რიცხვებისათვის აგზავნენ მომავალი თვის სამუშაო გეგმას. რედაქციის განყოფილებათა თემატური გეგმები ცალკეულ შემთხვევებში ითვალისწინებენ აგრეთვე ავტორებს, რომლებსაც წინასწარ ეძლევათ ავალება მოამზადონ წერილები ამა თუ იმ საკითხზე. განყოფილებათა გეგმები საფუძვლად ედება რედაქციის სამუშაო გეგმას, რომელიც სარედაქციო თათბირზე განხილვის შემდეგ პარტიის რაიკომის ბიუროს წარედგინება დასამტკიცებლად.

შემოღებული გვაქვს ყოველკვირეული სამუშაო გეგმები, რომლებიც განყოფილებათა შიერ ყოველ შაბათობით წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე დგება. ყოველ ორშაბათს იმართება სარედაქციო თათბირი, რომელზეც მორიგი რეცენზენტი აკეთებს წინა კვირის განმავლობაში გამოსული ნომრების მიმოხილვას. ნომრების განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ რედაქციის მუშაკები. გაზეთის მიმოხილვის დამთავრების შემდეგ რედაქციის მდივანი თათბირს მოახსენებს სამი მომდევნო ნომრის გეგმას და წარუდგენს გაზეთის ნომრების საორიენტაციო მაკეტებს. სარედაქციო თათბირებზე ხშირად ვიწვევთ გაზეთის აქტივისტებსაც, რომლებიც ხშირად საგულისხმო რჩევას გვაძლევენ.

გაზეთის მორიგი ნომრის გამოშვების წინადღეს ემართავთ რედაქციის მუშაკთა მოკლე თათბირს, რომელზეც სამხოლოდ განვიხილავთ და ვამტკიცებთ ნომრის გეგმას. მართალია, ჩვენს კვირეულ გეგმებში ხშირად შეაქვს ცვლილებები რაიონის ცხოვრებაში მომხდარ საყურადღებო ამბებს, მაგრამ რედაქციის ლიტერატურულ მუშაკთა მთელი საქმიანობა ძირითადად წინასწარ შედგენილი ყოველთვიური გეგმებით წარიმართება.

რედაქციაც და სტამბაც ცდილობენ მტკიცედ დაიცვან გაზეთის გამოშვების გრაფიკი. პირველ რიგში ვაკამბადონებთ გაზეთის მეორე და მესამე გვერდებს, რომლებშიც ძირითადად ადგილობრივი მასალები ქვეყნდება. ეს საშუალებას გვაძლევს პირველ და მეოთხე გვერდებზე მოვცეთ როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო და ადგილობრივი ხასიათის ოპერატიული მასალები. სამუშაო საათებში ძირითადად მთავრდება გვერდების დაკამბადონება. არაუგვიანეს 19-20 საათისა სტამბას ეძლევა გაზეთის ბეჭდვის ნებართვა. დილით კი დაუგვიანებლად ვრცელდება გაზეთი.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სტამბაში გასაგზავნი მასალის ლიტერატურულ გასწორებას. ჯერ-ერთი, მე, როგორც რედაქტორი, დედანშიც ვკითხულობ სტამბაში გასაგზავნ ტექსტს, ხოლო ანაბეჭდში კორექტორებთან ერთად მასალას კითხულობენ რედაქციის მორიგეები (ნომერზე რედაქციის ორი მუშაკი მორიგეობს ცალკე ქართული და ცალკე რუსული ტექსტის წასაკითხავად). ეს შესამჩნევად აჩქარებს დაკამბადონებული გვერდების ჩასწორებას.

გაზეთის ტექნიკური გაფორმება რედაქციის მუშაკთა აქტიური მონაწილეობით ხდება. როგორც გამოსაქვეყნებელი წერილების უმრავლესობა კოლექტიური განხილვის საგანი ხდება, ასევე ხშირად კოლექტიურად განვიხილავთ, თუ სად, რომელ გვერდზე მოვათავსოთ ესა თუ ის წერილი, რომელი შრიფტით ავაწყოთ ტექსტი და სათაური, როგორ განვალაგოთ ილუსტრაციები.

გაზეთს დიდ დახმარებას უწევენ ფოტოკორესპონდენტთა და მხატვართა აქტივი. მეტწილ კარიკატურებს, რომლებიც გაზეთში იბეჭდება, გაგრაში მომუშავე მხატვრები, ჩვენი აქტიური კორესპონდენტები აკეთებენ. ბევრი მათგანი (ნ. ჩებოტაევი, ი. შინგელაია, გ. სანდომირსკი) მუშაობს ლინოგრავიურაზე, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ადგილზევე დავამზადოთ მარტივი კარიკატურის კლიშე ლინოლეუმისაგან.

რედაქციის მუშაობის ორგანიზაციის ერთგვარი დადებითი გამოცდილება ხელს გვიწყობს ჩვენი გაზეთის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ თითქოს ყველაფერი რიგზე გვქონდეს, უნაკლოდ ვმუშაობდეთ

მიუხედავად ამისა, რომ დიდ ადგილს ვუთმობთ გაზეთში სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქებას, ამ მხრივ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სუსტად იბრძვიან მექანიზაციის და კერძოდ თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესის დაანერგვაგან, გაზეთი კი ღუმელით უჯის გვერდს ამას. გარდა ამისა, ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის რაიონის კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებისათვის. ნაკლოვანებანი გვაქვს პარტიული ცხოვრების საკითხების გაშუქების მხრივაც. კერძოდ ამ თემაზე ყველა მასალა იწერება მშრალი, კაბინეტური ენით. ჩვენი გაზეთი ცოტას როდი წერს საკერორტო თემაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ვაშუქებთ მოწინავე კურორტოლოგების გამოცდილებას, ნაკლებად ვზრუნავთ გაგრის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის პრაქტიკაში დიდი რუსი ფიზიოლოგის აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მოძღვრების დანერგვისათვის. „გამარჯვების დროშის“ რედაქციის საქმიანობის სერიოზულ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებით ვეკიდებთ გაზეთში გამოქვეყნებული მასალების ქმედითობას.

რაიონს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, კორესპონდენტთა ფართო აქტივზე დაყრდნობით „გამარჯვების დროშის“ რედაქცია ენერგიულად იბრძოლებს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების უმოკლეს დროში აღმოფხვრისათვის, ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩვენი გაზეთი ჩადგეს რესპუბლიკის მოწინავე რაიონული გაზეთების რიგებში.

ი. კოკალიანი,
გაგრის რაიონული გაზეთ „გამარჯვების დროშის“ რედაქტორი.



სურათზე: ჩაის პლანტაციების ფუმიგაცია სოფელ ქვედა ბახვის (მახარაძის რაიონი) ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში. ტრაქტორისტ ტ. გოგეშვილის აგრეგატი ყოველდღიურ დავალებებს 150-165 პროცენტით ასრულებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

კოლმეურნეობა წლიური ანგარიშის წინ

სოფელ ოკამში რომელ კოლმეურნეს უნდა ჰკითხოთ, თუ როგორია მათი 1954 წლის შრომის შედეგი, ყველა ერთ პასუხს მოგცემთ: უქმად არ ჩაუვლია ჩვენს გარჯას, შარშანდელთან შედარებით წელს ერთიექვსად და მეტად გაიზარდა შრომადღის ხვედრიო. ამასთან დასძენენ, რომ ის, რაც მიღწეულია, სულაც არ არის ზღვარი.

კოლმეურნე ვლადიმერ ილურიძემ და მისმა ცოლმა 1953 წელს 487 შრომადღე გამოიმუშავეს და შრომადღეებზე 633 კილოგრამი მარცვლეული მიიღეს. 1954 წელს გამომუშავებულ 588 შრომადღეზე მათ უკვე მიღებული აქვთ 3.940 კილოგრამამარცვლეული, 1.352 კილოგრამ მარცვლეულს კიდევ მიიღებენ საბოლოო განაწილებით.

* * *

ახლა კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგების შეჯამებისათვის ემზადებიან, ადგენენ წლიურ ანგარიშს.

...კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ეკატერინე ჩიტაშვილი მთელ დღეს სამუშაო მაგიდას უზის. გულდასმით ათვალიერებს დოკუმენტებს, წიგნებიდან კრეფს ციფრებს...

საბუხჰალტრო მონაცემებიდან ჩანს, რომ 1953 წელთან შედარებით 1954 წელს კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 2,9 ცენტნერით მეტი ხორბალი, 14,14 ცენტნერით მეტი სიმინდი, 65 ცენტნერით მეტი შაქრის ჭარხალი, 37,1 ცენტნერით მეტი ბოსტნეული.

საკოლმეურნეო დოვლათის ზრდასთან ერთად გადიდდა შრომადღის ღირებულებაც. თვითეულ შრომადღეზე ავანსად გაცემულია 7,630 კილოგრამი მარცვლეული, დამატებით კიდევ გაიცემა 1,370 კილოგრამი, ნაცვლად 1953 წელს შრომადღეზე განაწილებული 1,150 კილოგრამისა.

მაგრამ კოლმეურნეობის მრავალფეროვან მეურნეობაში ნაკლოვანებანიც არის. როგორც კოლმეურნეობაში არსებული მასალებიდან ირკვევა, საანგარიშო პერიოდში საკოლმეურნეო დოვლათის ზრდისა და გამრავლებისათვის გამოყენებული არ იყო ყველა არსებული რეზერვი. ამის გამო კვლავ დაბალშემოსავლიანია მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის მეცხოველეობა და მევენახეობა.

მემინდვრეობის მეორე ბრიგადა, რომელსაც გ. მეშველაშვილი ხელმძღვანელობს, ყველაზე მოწინავეა კოლმეურნეობაში. 1954 წელს მან „გუბებისპირა ნაკვეთის“ 56 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 14,5 ცენტნერის ნაცვლად 23 ცენტნერი პური მოიყვანა. ამ ნაკვეთს არაფრით ჩამოუვარდება „თეზმის მიდგმა მიწები“, სადაც მესამე ბრიგადამ აქ საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 5,5 ცენტნერი ხორბალი მიიღო.

რაშია საქმე? კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. გორჯოლაძემ ამის შესახებ სწორად განაცხადა:

— მეორე ბრიგადამ ნაკვეთი დროულად და მთლიანად პროგრესული წესით — ჯვარედინად დათესა. ადრე გაზაფხულზე მოაწყო ჯეჯილის მინერალური და ორგანული სასუქებით გამოკვება, ჩაატარა ნათესების დაზიგზაგება, გამარგვლა. მესამე ბრიგადამ კი გააჭიანურა ბეჭვა, ნაკვეთი ჩვეულებრივი წესით დათესა და გაზაფხულზე არ მოაწყო ჯეჯილის გამოკვება. რა თქმა უნდა, ამაში ბრალი მიუძღვის კოლმეურნეობის გამგეობასაც, რომელმაც მაშინვე არ მიიღო გადამჭრელი ზომები. ეს შეცდომა გაითვალისწინა კოლმეურნეობის გამგეობამ. 1954 წელს საშემოდგომო ხორბლის თესვა მთელ ფართობზე ჩავატარეთ აგროტექნიკურ ვადებში — ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად. გეგმით გათვალისწინებული 300 ჰექტარის ნაცვლად დავთესეთ 330 ჰექტარი.

ასეთია სოფელ ოკამის (ყასპის რაიონი) ძერჟინსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მეურნეობის მთავარი დარგების 1954 წლის ზოგიერთი მაჩვენებელი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხზე ამერიკელი ჟურნალისტისადმი

დაბნეულობა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში

ნიუ-იორკი, 3 იანვარი. (საკდესი). ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხმა ჩ. ე. შატის კითხვებზე შესამჩნევი დაბნეულობა გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში. ეს გამოიხატა, კერძოდ, იმით, რომ გამოაქვეყნა რა ცნობა გ. მ. მალენკოვის პასუხის შესახებ, ამერიკის პრესა შეეცადა გვერდი აევლო უმნიშვნელოვანესი დებულებისათვის, რომელზეც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გამოთქვა. ამერიკის გაზეთების უმრავლესობა სჯერდება მხოლოდ შენიშვნას, რომ გ. მ. მალენკოვის პასუხი ვაშინგტონში „ცივად მიიღო“.

„მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი (ამერიკის შეერთებული შტატებისა. — რედ.), — აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი,—ცივად შეხვდენ განცხადებას... საელმწიფო დეპარტამენტმა უარი თქვა გაეკეთებინა ოფიციალური კომენტარი“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ დიპლომატიური კორესპონდენტი ვაშინგტონში უეგონერი აღნიშნავს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური წარმომადგენლები ცივად შეხვდნენ ახალ განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება მორეული აღმოსავლეთის პრობლემების გადაჭრის შესახებ. მათ უარყვეს, როგორც „უსარალო განმეორებითი ჩამოყალიბება“ დამკვიდრებული საბჭოთა პოლიტიკისა, პრემიერ გიორგი მალენკოვის ცდა — მიღწეულ იქნას აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრა კომუნისტური ჩინეთის სრული მონაწილეობით...“

საგულისხმოა, რომ იმ საერთაშორისო პრობლემების მთელი წრიდან, რომლებიც გ. მ. მალენკოვმა გააშუქა, ამერიკის პრესა კომენტარს უკეთებს უმთავრესად პასუხს მოლაპარაკების გზით მორეული აღმოსავლეთის საკითხთა მოწესრიგების შესახებ. ამასთან კომენტატორები ცდილობენ დაგაჯერონ, რომ ასეთი არაფრით ჩამოუვარდება „თეზმის მიდგმა მიწები“, სადაც მესამე ბრიგადამ აქ საშუალოდ ჰექტარზე მხოლოდ 5,5 ცენტნერი ხორბალი მიიღო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“, რომელსაც მიაჩნია, რომ, „შესაძლოა რუსეთის პრემიერისთვის ახლანდელი დღის წესრიგის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყოს მისი მოთხოვნა, რომ შეწყდეს ღონისძიებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების დარგში როგორც იმის პირობა, რომ გაუმჯობესდეს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის“, ამავე დროს ცდილობს დააშინოს მკითხველი „საფრთხით“, რომელსაც თითქოს შეიცავს დასავლეთის სახელმწიფოებისათვის საბჭოთა კავშირის წინადადებანი გერმანიის საკითხზე. ამტკიცებს რა, რომ საბჭოთა კავშირის მიზანია „გათიშოს დასავლეთი და გავლენა მოახდინოს მასზე“, გაზეთი წერს: დასავლეთის ქვეყნები „დამეჯიდებით უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ ერთიანობას“, რაც ამერიკის დიპლომატიის ენაზე ნიშნავს იმას, რომ ისინი ბრმად მიჰყვებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გზს.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ 3 იანვარს გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გ. მ. მალენკოვის პასუხს უპირდაპირებს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მენდეს-ფრანსის ყბადაღებულ წინადადებას ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკების შესახებ მაისში, ე. ი. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში. გაზეთი უნებლიეთ აღიარებს, რომ მენდეს-ფრანსმა წინადადება მოლაპარაკების შესახებ გამოიყენა „როგორც ერთ-ერთი საუკეთესო არგუმენტი ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის უზრუნველსაყოფად“.

ინგლისის პრესა ამერიკელი ჟურნალისტისადმი გ. მ. მალენკოვის პასუხის შესახებ

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხმა ამერიკელი ჟურნალისტის ჩ. ე. შატის კითხვებზე დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონში. მოუხედავად იმისა, რომ ცნობა ამ პასუხის შესახებ გვიან მოვიდა ლონდონში, 1 იანვარს გაზეთების უმრავლესობამ გვიან გამოცემებში გამოაქვეყნა პასუხი, მაგრამ უკომენტაროდ. მაგალითად, გაზეთმა „დეილი ექსპრესმა“ ხელახლა დააკბადონა მთელი პირველი გვერდი, რათა პასუხი მოთავსებინა თვალსაჩინო ადგილას.

ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა ოფიციალური კომენტარი.

შეეხო რა გ. მ. მალენკოვის განცხადებას იმის შესახებ, რომ დიპლომატიური მოლაპარაკება შორეულ აღმოსავლეთში არსებული უთანხმოების მოწესრიგების შესახებ მისასალმებელია, თუ გავითვალისწინებთ ევნევის თათბირის გამოცდილებას, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღიარა, რომ „ევნევის თათბირი სასარგებლო იყო“. აღნიშნავდა რა შემდეგ, რომ ინგლისის მთავრობა ესწრაფვის შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელებას, იგი, ამავე დროს, ამტკიცებდა, რომ ამ სტადიაში „შორეული აღმოსავლეთის საქმეების განხილვის“ წარმატება ნაკლებ მოსალოდნელია.

შეეხო რა ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხს კითხვაზე მოლაპარაკების შესახებ ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობების მეთაურთა თათბირის მოწვევის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენი პოლიტიკა არაერთხელ ყოფილა განმარტებული პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებებში“. შემდეგ წარმომადგენელმა მოიყვანა ოფიციალურ პირთა პასუხი, სადაც ნათქვამია, რომ პარიზის შეთანხმებათა საბოლოო რატიფიკაციამდე არ შეიძლება ოთხი სახელმწიფოს რაიმე თათბირის მოწვევა, ხაზგასმით აღნიშნა რა. ამრიგად, ინგლისის მთავრობის მისწრაფება კვლავ განაზორციელოს „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა, თუმცა სავსებით ცხადია, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია უსაგნოს გახდიდა ოთხი სახელმწიფოს თათბირს, კერძოდ, გერმანიის საკითხზეც.

ყველა გუშინდელი და დღევანდელი გაზეთი აქვეყნებს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღნიშნულ კომენტარს. მ. მალენკოვის პასუხის გამო. ზოგიერთი გაზეთი ამასთან გამოჰყოფს მხოლოდ შორეული აღმოსავლეთის საკითხს.

ამავე დროს გაზეთების უმრავლესობა სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისის მთავრობის უთანხმოების დამოკიდებულებას დიპლომატიური მოლაპარაკებისადმი შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე.

საფრანგეთის პრესის გამოხმაურება

პარიზი, 3 იანვარი. (საკდესი). პარიზის დღევანდელმა დილის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილს გამოაქვეყნეს თავიანთი კომენტარები ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხის შესახებ.

გაზეთი „ფიგარო“ აყენებს კითხვას: „როგორი იქნება საბჭოთა დიპლომატიის გამოხმაურება და როგორია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის მოლაპარაკების პერსპექტივები?“ ამასთან გაზეთი ცდილობს მხარი დაუჭიროს უსაფუძვლო მტკიცებას, თითქოს მოლაპარაკების პერსპექტივები გაუმჯობესებულიყოს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად. ამავე პოზიციას ადგანან სხვა მემარჯვენე გაზეთებიც.

გაზეთი „კომბა“ წერს, რომ ეს პასუხი ეხება „საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირითად დებულებებს“ და რომ ამიტომ „იგი გულდასმით შეისწავლეს დასავლეთის დიპლომატებმა, რომლებიც ერთგვარი შეშფოთებით კითხულობენ, თუ როგორი იქნება ამერიკიდან სსრ კავშირის პოზიცია დასავლეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით“.

„ფიგარო-ტირის“ შესაძლოდ მიაჩნია თათბირის მოწვევა შორეულ აღმოსავლეთის პრობლემების შესახებ. ბოლოს და ბოლოს, წერს გაზეთი, თათბირი, რომლის დროსაც მშვიდობა დამყარდა ინდოჩინეთში, მოწვეული იყო იმ გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც მიიღო თათბირმა ბერლინის საკითხზე. ევროპის შესახებ ნაყოფიერი თათბირიც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მოლაპარაკებას აზიის შესახებ.

გაზეთ „ლუმანიტეს“ საგარეოპოლიტიკური მომთხოვნელი პიერ ჟურტადი წერს, რომ გერმანიის მილიტარიზმს დამცველები პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ მოლაპარაკების შესაძლებლობაზე ლაპარაკით ცდილობენ დაფარონ თავიანთი მოქმედება. მაგრამ ცხადია, წერს ავტორი, რომ რატიფიკაციის შემდეგ გერმანიის პრობლემის შესახებ აღმოსავლეთთან მოლაპარაკება უმიზნო იქნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ განსახილველი აღარაფერი დარჩება.

მალენკოვის პასუხი ამერიკის „ტელენიუსის“ საგაზეთოს წარმომადგენლისადმი არავითარი ექვს არ ტოვებს ამ მხრივ: საერთაშორისო პრობლემების, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის საკითხების სეპარატული გადაჭრა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა ცდაა გამორიცხონ ოთხი სახელმწიფოს თათბირზე პრობლემების დადებითი გადაჭრის შესაძლებლობა. მალენკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არ შეიძლება ახორციელებდე ასეთ პოლიტიკას და ამავე დროს ხალხებს ილუზიებს უქმნიდე ოთხი სახელმწიფოს თათბირის შესახებ“.

პარიზი, 2 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე-დიმაშზე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გ. მ. მალენკოვის პასუხში ამერიკელი ჟურნალისტისადმი „ლაპარაკი მთელი მსოფლიოს მშვიდობაზე“.

„უპასუხა რა 31 დეკემბერს საღამოს ამერიკის ტელევიზიის კომპანიის „ტელენიუსის“ დირექტორის ექვს კითხვაზე, — წერს გაზეთი, — გ. მალენკოვმა კვლავ ცხადყო საბჭოთა კავშირის მისწრაფება — გააკეთოს ყველაფერი, რაც კი მასზეა დამოკიდებული რათა მოლაპარაკებისა და თანაარსებობის პოლიტიკამ გაიმარჯვოს ძალის პოლიტიკაზე. რამდენიმე საათის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეს ამ განცხადებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია“.

ჩინეთის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს გ. მ. მალენკოვის მიერ ამერიკელი ჟურნალისტისათვის მიცემული პასუხისადმი

პეკინი, 2 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ დღეს თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის პასუხი ტელევიზიისა და კინოკრონიკის კომპანიის „ტელენიუსის“ ვაშინგტონის ბიუროს გამგის ჩარლზ ედვარდ შატის კითხვებზე.

შანხაი, 3 იანვარი. (საკდესი). ამხანაგ მალენკოვის პასუხმა ამერიკის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებზე დიდი ინტერესი გამოიწვია ჩინეთის საზოგადოებრიობაში. გუშინ გაზეთმა „ძიფანჟიბაომ“ გამოაქვეყნა ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხის სრული ტექსტი.

ამხანაგ მალენკოვის პასუხს დიდი ყურადღება მიაქცია შანხაის სახალხო რადიოსადგურმა, რომელმაც იგი რამდენჯერმე გადასცა.

დღეს ამხანაგ მალენკოვის პასუხი ჩარლზ ედვარდ შატის კითხვებზე გამოაქვეყნეს შანხაის გაზეთებმა „ვენხუეიბაომ“, „სინვენეიბაომ“ და „ლოდუშბაომ“. გაზეთი „ვენხუეიბაო“ წერს: თავის პასუხში ამხანაგი გ. მ. მალენკოვმა ღრმა ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო ვითარებას. მან აღნიშნა, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფო ცდილობს ცალმხრივად გადაჭრას უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხები, და უწინარეს ყოვლისა გერმანიის საკითხი. მაგრამ არ შეიძლება დასაკვნის გაზეთი, ახორციელებდე ასეთ ცალმხრივ პოლიტიკას და ამავე დროს ხალხებს უქმნიდე ილუზიას ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის შესახებ.

საბჭოთა კავშირი და მთელი მსოფლიოს სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნები და ხალხები, წერს შემდეგ გაზეთი, როგორც ყოველთვის, იბრძვიან დიდ სახელმწიფოთა თათბირის მოწვევისათვის, რათა გადაჭრას სადავო საერთაშორისო საკითხები. მაგრამ ასეთი თათბირი შეუძლებელია განხორციელდეს ომის ატმოსფეროში.

ცხადია, წერს დასასრულ გაზეთი, რომ მშვიდობის ხსნა შეიძლება მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლით პარიზის შეთანხმებათა და ამერიკა-ჩინ კაი-შის ხელშეკრულების წინააღმდეგ.

„ხალხები ახლა განსაკუთრებით ფხიზლად უნდა იყვნენ!“

სოფია, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწინავე სტატიას უძღვნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის პასუხს ჩარლზ ედვარდ შატის კითხვებზე გაზეთი გამოჰყოფს გ. მ. მალენკოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის მთავარი მიზეზია დასავლეთ გერმანიის რევანშისტული არმიის აღდგენის კურსი, რასაც ახორციელებენ ამერიკის გარკვეული წრეები, გამალებული შეიარაღება და ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელის შექმნა საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გარშემო.

შემდეგ „რაბოტნიჩესკო დელო“ წერს: სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს

(დასასრული მე-4 გვერდზე)

უკეთ მოვაწყოთ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სწავლება

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ათი წლის არსებობის გამოცდილება მოწმობს განათლების ამ ფორმის სიცოცხლისუნარიანობას. წარმოებისაგან მოწყვეტლად ახალგაზრდობის განათლებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რიცხვი ჩვენს რესპუბლიკაში. ნარტო 1953-1954 წლებში მსხვილ საწარმოო ცენტრებში გაიხსნა მუშა ახალგაზრდობის 15 საშუალო სკოლა. საქართველოში ამჟამად არის 70-ზე მეტი მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა 15.000-ზე მეტი მოსწავლით, 260-მდე კი სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, სადაც 8.000-ზე მეტი კოლმეურნე ახალგაზრდა სწავლობს.

1953-54 სასწავლო წელს რესპუბლიკაში წარმოებისაგან მოწყვეტლად საშუალო სკოლა დაამთავრა 1.800-მდე ახალგაზრდამ. მათი საგრძნობი ნაწილი უმაღლეს სასწავლებლებში შევიდა და წარმატებით აგრძელებს სწავლას.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ნორმალური მუშაობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მათი მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. მთელმა რიგმა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ამ მხრივ დიდი დახმარება აღმოუჩინეს მუშა ახალგაზრდობის სკოლებს. ი. ტ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექციამ მუშა ახალგაზრდობის სკოლას საკუთარი შენობა აუგო, შეუძინა ინვენტარი, მოუწყო ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები, სასპორტო მოედანი და სხვ. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველომ მუშა ახალგაზრდობის სკოლას გადასცა სამსართულიანი კაპიტალური შენობა, შეუძინა 50.000-მდე მანეთის საერთო ღირებულების სასკოლო ინვენტარი და ლიტერატურა ბიბლიოთეკისათვის. ასევე მოიქცა ინგურის ქაღალდის კომბინატის დირექცია.

მინდინარე სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყეს რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის მთელმა რიგმა სკოლებმა. მიუხედავად ამისა, ამ სკოლების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს საკუთარი მატერიალური ბაზა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათს მუშაობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სოფლის ახალგაზრდობის სკოლები გათბობა-განათებითაც არ არიან უზრუნველყოფილი, ხოლო პარტიული, საბჭოთა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ყოველთვის არ იღებენ სათანადო ზომებს მეცადინეობისათვის ნორმალური პირობების შესაქმნ

უცხოეთის გამოხმაურება ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხზე ამერიკელი ჟურნალისტისადმი

(დასასრული)

შორის ურთიერთობაში დაძაბულობის სწორედ ამ მთავარი მიზეზის აღმოფხვრა მნიშვნელოვნად იქნება იმის მომსწავებელი, რომ აღმოიფხვრას დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობაში, იქნება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისი; ეს არსებითად საჭიროა ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. ხალხები უნდა განთავისუფლდნენ ახალი მსოფლიო ომის საფრთხისაგან.

ახლა, განაგრძობს გაზეთი, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები განსაკუთრებით ფხიზლად უნდა იყვნენ აგრესიული წრეების ყოველგვარი ცდებისადმი, მათი ახალი სამხედრო ავანტიურების გეგმებისადმი. ამასთან არ არის იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ყველა ქვეყნის ხალხთა ღონისძიებების გაერთიანება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველსაყოფად.

გამოხატულება ადამიანის მისწრაფებისა მშვიდობისადმი

ვარშავა, 3 იანვარი. (საკდესი). ამხანაგ მალენკოვის პასუხი, აღნიშნავს პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“, მთელი მსოფლიოს ყველა იმ ადამიანის გრძნობის გამოხატულებაა, რომლებმაც ერთმანეთს მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვეს ახალ წელს. იგი მშვიდობიანადმი ადამიანის ყველაზე ზუნებრივ მისწრაფებათა გამოხატულებაა... საქმე ის არის, რომ ორივე მხარე თავის ურთიერთობაში ხელმძღვანელობდეს იმით, რომ შესაძლებელი და საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა და მხედველობაში იღებდეს კანონიერ ურთიერთ ინტერესებს.

საფრანგეთის პარლამენტმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის უხეში ზეგავლენით რომ მიიღო პარიზის შეთანხმებანი, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, ეს ჩვენი კონტინენტის ყველა ხალხის განაგებ აღშფოთებას იწვევს, რადგან ევროპა უკვე არაერთხელ დარწმუნდა, თუ რას ნიშნავს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და რა უხედურება მოაქვს თან გერმანტს.

დასავლეთ გერმანიაში სამხედრო მანქანის აღორძინების საფრთხის წინაშე მორტონი ვერ დარჩენიან მშვიდობის ბანაკის ქვეყნები და განსაკუთრებით ის ქვეყნები, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია ზონელ მილიტარისტთა მადა.

მწვავე საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის გზა

ბუქარესტი, 3 იანვარი. (საკდესი). მოწონებულ სტატიაში, რომლის სათაურია „მშვიდობის დაცვის ღონისძიებათა გაერთიანება ხალხთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“, გაზეთი „სკინტეია“ წერს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურის პასუხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს პასუხი მკაფიოდ აშუქებს უაღრესად მწვავე საერთაშორისო პრობლემებს და სახავს მშვიდობის ინტერესების შესაბამისად მათი გადაჭრის გზას. ამიტომ ეს პასუხი დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

აღნიშნავს რა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის პრობლემა საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი საკითხია, გაზეთი წერს:

ხალხები მიესალმებიან ამხანაგ მალენკოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის კვლავაც ყველაფერი გაკეთოს, რაც კი დამოკიდებულია მასზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე და მყარი მშვიდობიანი ურთიერთობა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, მოწესრიგდეს არსებული უთანხმოება, მხედველობაში აქვს რა, რომ ასეთსავე მზადყოფნას გამოიჩენენ ამერიკის შეერთებული შტატებიც.

მრავალი ფაქტი ცხადყოფს, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესდნ ადგანან გზას, რომ შეინარჩუნონ ომის კერები შორეულ აღმოსავლეთში. ასეთ მდგომარეობაში აზიისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი სიხარულით ხვდება გ. მ. მალენკოვის განცხადებას, რომ მისასალმებელია მოეწყოს მოლაპარაკება შორეული აღმოსავლეთის მთელი რიგი საკითხების მოწესრიგების შესახებ.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის

ბუდაპეშტი, 3 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „სახად ნეპი“ გ. მ. მალენკოვის პასუხს ამერიკელი ჟურნალისტის ჩარლზ ედვარდ შატის კითხვებზე ბეჭდავს სათაურით „გავაერთიანოთ ყველა ქვეყნის ხალხთა ღონისძიებანი მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის“.

ამხანაგ მალენკოვის პასუხი, წერს გაზეთი მოწონაგე სტატიაში „მშვიდობის მიმართება“, ეხება უაღრესად მწვავე პრობლემებს, რომლებიც აინტერესებთ ახლა მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებს. გაზეთს მოჰყავს გ. მ. მალენკოვის პასუხი შატის მეორე კითხვაზე და აღნიშნავს: იმისათვის, რომ აღიკვეთოს დაძაბულობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ბოლო მოეღოს პოლიტიკას, რომლის მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღდგენა, საამხედრო ბაზების შექმნა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების გარშემო.

საერთაშორისო მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, განაგრძობს გაზეთი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხია. ეს მშვიდობიანად ესმით ამერიკის ხელმძღვანელ წრეებს, რომლებიც ილაშქრებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ. ამიტომ არის, რომ ისინი ასეთი გულმოდგინეობით ცდილობენ მოწამლონ ორი ქვეყნის ურთიერთობა. ამიტომ ცდილობენ ისინი შექმნან ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტისაბჭოთა ისტერიის ატმოსფერო, აკუსებენ ამერიკის პრესას სტატიებით, რომელთა მიზანია დაუმტკიცონ ამერიკელ ხალხს, რომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მშვიდობიანი თანაარსებობა.

ჩვენი დროის მეორე მწვავე საკითხი, — წერს გაზეთი, — ეს არის ატომური და წყალბადის იარაღის პრობლემა. ყოველი მშვიდობისმოყვარე ადამიანი მხოლოდ მიესალმება იმას, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა თავის საახალწლო განცხადებაში კვლავ დაადასტურა საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, როცა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ უკლებლად აიკრძალოს ატომური იარაღი.

გაზეთს მოჰყავს გ. მ. მალენკოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ ახლა ყველა ხალხი განსაკუთრებით ფხიზელი უნდა იყოს აგრესიული წრეების ყოველგვარი ინიციატივისადმი, რომ ამჟამად არ არსებობს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ყველა ქვეყნის ხალხების ღონისძიებათა გაერთიანება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს საბრძოლო პროგრამაა მთელი მშვიდობისმოყვარე ძალებისათვის ახალ წელს.

საბჭოთა ხალხის კეთილი ნების მიმართვა

პრაღა, 3 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის პრესა და რადიო დიდ ყურადღებას აქცევენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის პასუხს ჩ. ე. შატის კითხვებზე. პრაღის რადიოსადგურებმა არაერთგზის გადასცეს ცნობა ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შესახებ. გაზეთები „რუდე პრავო“, „პრაცე“, „ლიდოვა დემოკრაცეა“, „ზემედელსკე ნოვინი“, „სვობოდნე სლოვო“ და სხვები დღეს თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ დიდი სათაურით გ. მ. მალენკოვის პასუხს, და განსაკუთრებით აღნიშნავენ იმას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ქვეყნის ხალხების ღონისძიებათა გაერთიანებას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. მ. მალენკოვის პასუხი ჩ. ე. შატის კითხვებზე, — აღნიშნავს გაზეთი „რუდე პრავო“, — არა მარტო მკაფიოდ ახასიათებს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას, არამედ აძასთანავე გვიჩვენებს მთავარ წანამძღვრებს, რომლებიც საჭიროა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისათვის“.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, განაგრძობს გაზეთი, არის პრინციპი ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრული თანამშრომლობის მხარეთა ინტერესების ურთიერთ პატივისცემის პირობებში. ამ პრინციპს საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად იცავდა ბერლინისა და ჟენევის თათბირებზე. ხელმძღვანელობდა რა ამ პრინციპებით, იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-9 სესიაზე იბრძოდა შეიარაღების შემცირებისა და ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვისათვის.

საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი, რაც გ. მ. მალენკოვმა გამოთქვა, საკუთრივ შეესაბამება ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასების მოთხოვნებს.

ეჭვი არ არის, წერს დასასრულ „რუდე პრავო“, რომ ყველა პატიოსანმა ამერიკელმა გ. მ. მალენკოვის სიტყვები მიიღო როგორც საბჭოთა ხალხის კეთილი ნების წერილი, როგორც მშვიდობის წერილი. ეჭვი არ არის, რომ ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები მიეესალმებიან ამ განცხადებას როგორც სოციალისტური სახელმწიფოს კეთილშობილურ გადაწყვეტილებას — მთელი ძალღონით დაეხმაროს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს და კვლავაც განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა ხალხთა შორის.

ეჭვი არ არის, რომ ხალხები ამ სიტყვებს გაიგებენ როგორც მხურვალე მოწოდებას გაძლიერონ სიფხიზლე აგრესიული წრეების ხრიკების მიმართ.

საჭიროა შეწყდეს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების პოლიტიკა

ბერლინი, 3 იანვარი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა დღეს აქცევენს ჩ. ე. შატის კითხვებზე ამხანაგ გ. მ. მალენკოვის პასუხის სრულ ტექსტს.

გაზეთი „ფორვერტსი“ გ. მ. მალენკოვის პასუხში გამოაკოფს იმ ადგილებს, სადაც აღნიშნულია, რომ საჭიროა შეწყდეს დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკა, რომლის მიზანია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და ახალი ომის მომზადება. გაზეთი გამოაკოფს აგრეთვე განცხადებას იმის შესახებ, რომ „ამჟამად არ არსებობს უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე არის ყველა ქვეყნის ხალხების ღონისძიებათა გაერთიანება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის“.

გამოხმაურება ინდოეთსა და ინდონეზიაში

დელი, 3 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრმა მალენკოვმა ამერიკელ ხალხს გულითადი სალამი გადასცა და ყოველივე კარგი უსურვა საახალწლოდ, ნათქვამია დელის რადიოს კომენტარებში. მალენკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ მზად არის ყველაფერი გააკეთოს, რაც შესაძლებელია, რათა უზრუნველყოს მტკიცე და მყარი მშვიდობიანი ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. მალენკოვმა დასძინა, რომ არის ყველა საფუძველი შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ჯაკარტა, 3 იანვარი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის პრესა, აგრეთვე პოლანდიის საქმიანი წრეების გაზეთები, რომლებიც ინდონეზიაში გამოდის, თვალსაჩინო ადგილს აქცევენ ამხანაგ მალენკოვის პასუხს ჩარლზ ედვარდ შატისადმი. გაზეთები „ბერიტა ინდონეზია“, „ობადი“, „პედომანი“, „ნიუშირი“ და სხვები დიდი სათაურებით წერენ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება შორეული აღმოსავლეთის პრობლემებზე.

მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა თანაარსებობა

ბუენოს-აირესი, 3 იანვარი. (საკდესი). არგენტინის გაზეთების უმრავლესობა თვალსაჩინო ადგილს აქცევენს შატისადმი გ. მ. მალენკოვის პასუხის შინაარსს დიდი სათაურებით: „მშვიდობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებაა თანაარსებობა.—ეუბნა მალენკოვმა. — გერმანიის ხელახლა შეიარაღება აძლიერებს ომის საფრთხეს“.

„დემოკრასიამ“, „კლარინმა“ და ზოგიერთმა სხვა გაზეთმა გამოაქვეყნა სრული ტექსტი გ. მ. მალენკოვის პასუხისა შატისადმი.

მონტევიდეო, 3 იანვარი. (საკდესი). გ. მ. მალენკოვის პასუხს დიდ ყურადღებას უთმობენ ურუგვაის გაზეთები. „ელ პაისი“, „ელ დია“ აქვეყნებენ პასუხის სრულ ტექსტს, აგრეთვე მთელ რიგ ცნობებს, რომლებიც დაკავშირებულია გ. მ. მალენკოვის პასუხთან. სხვა გაზეთებში მოთავსებულია პასუხის დაწვრილებითი შინაარსი.

სპორტის ამგეგი

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ჰასტინგსში

ლონდონი, 1 იანვარი. (საკდესი). დღეს გაიმართა ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-4 ტური. მე-4 ტურში კერესმა, რომელიც შავებით თამაშობდა ფილიპსის წინააღმდეგ, გამარჯვება მოიპოვა. პახმანმა მოუგო ფეირჰერსტს, უნციკერმა მოუგო დონეგს. ალექსანდერ-ფუდერერის პარტია ყაიმით დამთავრდა. დაუმთავრებელი დარჩა სმისლოვ-საბოს პარტია. ამ პარტიაში სმისლოვს, რომელიც თეთრებით თამაშობს, თავიდანვე მცირე უპირატესობა ჰქონდა. შეწყვეტის მოქენტისათვის სმისლოვმა მოიგო რუკორ პაიკში. ამ პარტიაში, რომელიც დღეს საღამოს გათამაშდება, სმისლოვს გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

31 დეკემბერს მესამე ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშებისას სპომ მოუგო ფეირჰერსტს, პახმან-ფილიპსის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

2 იანვარს ტურნირზე თავისუფალი დღეა, მაგრამ გროსმაისტერმა კერესმა უნდა ითამაშოს სმისლოვთან და უნციკერთან, რადგან მან ეს შეხვედრები ავადმყოფობის გამო გამოტოვა.

1 იანვარს ტურნირის მონაწილენი იყვნენ დარბაზობაზე, რომელიც მათს პატივსაცემად ახალი წლის გამო ქალაქ ჰასტინგსის მერმა გამართა.

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა ჰასტინგსის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მეხუთე ტური. შესვენებისათვის დამთავრდა ოთხი პარტია. გროსმაისტერმა სმისლოვმა, რომელიც შავებით თამაშობდა ფეირჰერსტის (ინგლისი) წინააღმდეგ, მოიგო პაიკი და, ძლიერი იერიშით მიიტანა რა მოწინააღმდეგის მეფეზე, აიძულა ფეირჰერსტი დამარცხებულად ეცნო თავი.

საერთაშორისო ოსტატმა ფუდერერმა (იუგოსლავია) მოუგო ფილიპსს (ინგლისი). გროსმაისტერების პახმანისა (ჩეხოსლოვაკია) და კერესის პარტია რთული ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გროსმაისტერების საბოსა (უნგრეთი) და უნციკერის (დასავლეთი გერმანია) შეხვედრა.

გადადებული პარტიის გათამაშებისას სმისლოვმა მოუგო საბოს. კერესი-სმისლოვის შეხვედრა, რაც გუშინ საღამოს მოხდა, ყაიმით დამთავრდა. უნციკერ-კერესის პარტია, რომელიც 2 იანვარს დაიწყო, გადადებულია. კერესს რამდენადმე უკეთესი მდგომარეობა აქვს.

ლონდონი, 4 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). მეხუთე ტურის გადადებული პარტიების გათამაშებისას დონერი (ჰოლანდია) და ალექსანდერი (ინგლისი) ყაიმზე შეთანხმდნენ. კერესმა 45-ე სვლაზე მოუგო უნციკერს (დასავლეთი გერმანია).

ამრიგად, ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან საბჭოთა მოჭადრაკეები სმისლოვი და კერესი, რომლებმაც ოთხ-ოთხი ქულა მოაგროვეს.

სსრ კავშირში ჩამოვიდნენ უცხო ქვეყნების მოციგურავეები

3 იანვარს სსრ კავშირის შინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით სსრ კავშირში ჩამოვიდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოციგურავეთა გუნდები. ისინი მონაწილეობას მიიღებენ მთელ რიგ შეჯიბრებებში, რომლებიც გაიმართება მაღალი მთის სასრიალო მოედანზე ალმა-ატის ახლოს. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი

(1952 წლის გამოშვება)

ოფიციალური ცხრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგებათა მე-4 ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1954 წლის 26 დეკემბერს ქალაქ მოგილევში. მოგება ხვდა სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
120006	33*)	1.000	124926	23*)	1.000	129809	43*)	1.000	134083	1—50	200
120123	03*)	1.000	124972	1—50	200	129919	50*)	1.000	134189	29*)	1.000
120198	47*)	1.000	125028	1—50	200	130017	1—50	200	134224	1—50	200
120257	10*)	1.000	125080	21*)	1.000	130081	29*)	1.000	134228	05*)	5.000
120371	1—50	200	125272	22*)	1.000	130324	44*)	1.000	134327	21*)	1.000
120502	21*)	1.000	125544	40*)	1.000	130392	14*)	1.000	134425	1—50	200
120533	1—50	200	125549	1—50	200	130587	1—50	200	134637	1—50	500
120626	1—50	200	125656	1—50	200	130734	1—50	500	134682	02*)	1.000
120680	20*)	1.000	125756	33*)	1.000	130833	19*)	10.000	134689	01*)	1.000
120779	1—50	500	125781	50*)	1.000	130840	1—50	200	134715	25*)	1.000
120801	20*)	1.000	125967	08*)	1.000	130958	42*)	5.000	134741	1—50	500
121168	1—50	500	126005	48*)	1.000	130995	29*)	1.000	134795	1—50	500
121323	08*)	1.000	126349	1—50	200	131274	1—50	200	134842	09*)	1.000
121400	33*)	1.000	126576	1—50	200	131289	40*)	1.000	135050	1—50	500
121674	34*)	1.000	126656	10*)	1.000	131376	44*)	1.000	135062	1—50	200
121851	44*)	1.000	126761	11*)	1.000	131387	1—50	200	135246	20*)	1.000
121904	1—50	200	126777	35*)	1.000	131403	1—50	200	135249	24*)	5.000
121977	1—50	500	127044	18*)	1.000	131494	1—50	200	135533	1—50	200
122098	1—50	500	127335	1—50	500	131518	1—50	500	135691	06*)	1.000
122156	50*)	5.000	127388	1—50	200	131796	39*)	1.000	135931	25*)	10.000
122315	13*)	1.000	127501	49*)	1.000	131850	37*)	5.000	136016	01*)	1.000
122351	09*)	5.000	127517	19*)	1.000	131969	48*)	1.000	136094	11*)	1.000
122414	29*)	1.000	127535	1—50	200	131995	01*)	1.000	136134	33*)	1.000
122415	02*)	1.000	127666	1—50	200	132030	19*)	1.000	136258	1—50	200
122530	1—50	200	127711	25*)	1.000	132076	1—50	200	136593	1—50	200
123247	03*)	1.000	127726	11*)	1.000	132097	1—50	200	136658	1—50	200
123661	1—50	200	127880	42*)	1.000	132373	16*)	1.000	136975	07*)	1.000
123740	07*)	1.000	127949	1—50	500	132535	48*)	1.000	137216	20*)	1.000
123776	23*)	5.000	128096	38*)	1.000	132566	1—50	200	137349	26*)	1.000
123778	05*)	1.000	128184	48*)	10.000	132654	15*)	1.000	137550	1—50	200
123789	14*)	1.000	128292	1—50	200	132772	31*)	1.000	137599	49*)	1.000
123878	46*)	1.000	128330	49*)	1.000	132870	33*)	1.000	137804	44*)	1.000
123951	13*)	1.000	128410	29*)	1.000	132902	1—50	200	137861	20*)	1.000
124060	18*)	5.000	128684	1—50	200	132971	19*)	1.000	137991	1—50	500
124089	11*)	1.000	128698	41*)	1.000	133090	02*)	1.000	138180	28*)	1.000
124126	37*)	1.000	128724	29*)	5.000	133136	1—50	200	138190	1—50	500
124323	39*)	5.000	128777	14*)	1.000	133220	37*)	1.000	138211	25*)	1.000
124340	1—50	200	128816	20*)	1.000	133390	30*)	1.000	138274	05*)	1.000
124394	36*)	1.000	128989	06*)	1.000	133623	1—50	200	138834	25*)	1.000
124406	43*)	1.000	129053	45*)	10.000	133645	1—50	500	138867	1—50	500
124467	36*)	1.000	129210	1—50	500	133660	1—50	200	139497	09*)	1.000
124507	1—50	500	129314	1—50	200	133843	1—50	500	139590	20*)	1.000
124553	1—50	500	129349	45*)	1.000	133897	1—50	200	139638	1—50	200
124601	1—50	200	129355	22*)	25.000	133926	21*)	1.000	139675	1—50	200
124707	43*)	1.000	129613	33*)	1.000	134024	10*)	10.000	139708	49*)	1.000
124773	33*)	1.000							139813	46*)	1.000

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ნოვგოროდის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ნ. პასტუშენკო.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ს. დ. ვორონკოვი.

მ. თ. ძველაია — გეოლოგიურ-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ტრესტ „საქნავთის“ გეოლოგიურ-საძიებო კანტორის უფროსმა გეოლოგმა და საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორმა მ. თ. ძველაიამ მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნავთობის ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომის სხდომაზე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „დასავლეთ საქართველოს კაინოზოური ნალექების გეოლოგია და ნავთობგაზშემცველობა“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მ. თ. ძველაიასათვის გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 6 და 7 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ზონიერი. რიონის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 7-12 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში დროგამოშვებით ნალექი. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 1-6 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 3-8, დღისით 0-5 გრადუსი ყინვა.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ნერუს განცხადება სსრ კავშირში მომავალი გამგზავრების შესახებ

ლონდონი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი კალკუტიდან იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს წელს ეწვიოს საბჭოთა კავშირს. ნერუმ თქვა, რომ საბჭოთა კავშირში გაემგზავრება ინდოეთის პარლამენტის სხიუჯეტო სესიის შემდეგ, რომელიც აპრილში დამთავრდება.

სუკარნოს განცხადება

ჯაკინი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ 1 იანვარს სიტყვა წარმოთქვა მისთვის ახალი წლის მისალოცად შეკრებილთა წინაშე. მან განაცხადა რომ, მშვიდობიანი თანაარსებობა და საერთაშორისო თანამშრომლობა საჭიროა მთელი კაცობრიობისათვის.

სუკარნომ თქვა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა „არის არც მეტი არც ნაკლები, კეთილმეზობლური პოლიტიკის გაფორციელება ყველა ერისა და სახელმწიფოს მიმართ“.

შეეხო რა ბოგორის თათბირსა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების მომავალ კონფერენციას, ინდონეზიის პრეზიდენტმა თქვა: „ისინი პოზიტიური ღონისძიებებია, რომლებიც, როგორც ჩვენ დარწმუნებული ვართ, განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს და ხელს შეუწყობენ იმას, რომ გაფორციელდეს მთელი კაცობრიობის დიდი მისწრაფება უშიშროებისადმი“.

ბრაზილიის საზოგადოებრიობა მოითხოვს სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას სსრ კავშირთან

მონტევიდეო, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც ბრაზილიის პრესა იუწყება, სან-პაულოს შტატის საკანონმდებლო კრების კომისია დეპუტატ სიდ ფრანკოს მეთაურობით ეწვია რესპუბლიკის პრეზიდენტ კაფე ფილიოს და აცნობა მას კრების გადაწყვეტილება, რომ საჭირო და მიზანშეწონილია ბრაზილიასა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარება.

ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის ნაყოფი

ბუენოს-აირესი, 3 იანვარი. (საკდესი). ახასიათებს რა ჩილის საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია მთავრობის ერთი ნაწილის მისწრაფებით შეინარჩუნოს საგანგებო მდგომარეობა ანტიდემოკრატიული მიზნებისათვის, გაზეთი „ელ სიგლო“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ „ახლა ჩილში ხდება უფრო მეტი რამ, ვიდრე ხელისუფლების სათავეში მდგომი ჯგუფების კონფლიქტია; ეს არის ორი პოლიტიკური კურსის, ორი ტენდენციის შეჯახება: ერთი — ფაშისტური, ანტიდემოკრატიული ტენდენციაა, რაც შთაგონებულია ამერიკის იმპერიალისტების ინსპირაციებით; ეს ორი ტენდენციის ბრძოლა ჩილეში ამერიკის ყველა ქვეყანას თავს მოახვიოს მკაცრი ტერორისტული დიქტატურა, რომელიც მოსპობს თავისუფლებასა და რესპუბლიკურ ინსტიტუტებს. მეორე ტენდენცია დემოკრატიულია, რაც გამოწვეულია ჩვენი ხალხის ინტერესებითა და მისწრაფებებით, ხალხის მისწრაფებით თავისი პრობლემები გადაწყვიტოს მოსახლეობის ყველა ფენისათვის სრული სამოქალაქო თავისუფლების საფუძველზე.

1954 წელს ჩვენ მოწმენი ვიყავით, რომ ამერიკელი იმპერიალისტების მითითებით თუ აშკარა ჩარევით გაფორციელდა არბენსის დემოკრატიული მთავრობის ძალით დამხობა გვატემალაში, სახელმწიფო გადატრიალება ბრაზილიაში, სახელმწიფო გადატრიალება პარაგვაიში, ბატისტის თვითნებური არჩევა კუბაზე, ამასწინანდელი ავანტიურა ეკვადორში და კონტინენტის სხვა ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალებისა და ანტიდემოკრატიული მანევრების აღორძინების მიზნით“. გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩილში ანალოგიური ცდები წაიწყდა მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგობას.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ

ბერლინი, 3 იანვარი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, ნაიბრანდენბურგის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ოლქის 60 ათასმა მოქალაქემ დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატებს 10 ათასი სატელეგრაფო წერილი გაუგზავნა, რომელშიც მოითხოვენ უარყონ პარიზის შეთანხმებანი. მარტო უკანასკნელი დღეების განმავლობაში ოლქის 14 სასოფლო რაიონის მცხოვრებლებმა 2.000-მდე ასეთი წერილი გაგზავნეს.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

გასვრილები

რს